

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის  
დარგობრივი დეპარტამენტი



**ზანდა მესხიძე**

**სასურსათო უსაფრთხოების და კვების ინდუსტრიის  
კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიები  
(აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

ბათუმი, 2025

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივ დეპარტამენტში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მანველიძე**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

**უცხოელი შემფასებელი: ლიუდმილა შიმაწოვსკა-დიანიჩი,**  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის  
უნივერსიტეტის პროფესორი

**შემფასებლები: ეთერ ხარაიშვილი**  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ასიე ცინცაძე**  
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

**პაატა აროშიძე**  
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2025 წლის 4 ივლისს, 12:00 საათზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35/რუსთაველის ქ. №32, აუდიტორია N423

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში - [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ლეილა ცეცხლაძე**  
ბიზნესისა და მართვის დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ნაშრომის საერთო დახასიათება

**თემის აქტუალობა.** XXI საუკუნეში გლობალური ეკონომიკის ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოება და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა. საკითხის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე კრიზისული მოვლენები: პანდემიით დარღვეული მიწოდების ჯაჭვები, გეოპოლიტიკური დაძაბულობით გამოწვეული სასურსათო ბაზრების არასტაბილურობა, კლიმატის ცვლილების ზეგავლენა აგროწარმოებაზე და მსოფლიო მოსახლეობის ზრდით განპირობებული გაზრდილი მოთხოვნა სურსათზე.

გამომდინარე აქედან, აღნიშნული საკითხების მეცნიერული კვლევის აქტუალობას მნიშვნელოვნად ზრდის ასევე შემდეგი გამოწვევები: მოსახლეობის ზრდით გამოწვეული მზარდი მოთხოვნა სურსათზე; საკვები პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის სტანდარტების გამკაცრება; საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო პროდუქციის ფასების არაპროგნოზირებადი ცვლილებები; მიწოდების ჯაჭვის სტაბილურობის უზრუნველყოფის სირთულეები; სასურსათო ნარჩენების მართვის აუცილებლობა.

საქართველოსთვის, განსაკუთრებით აჭარის ა/რ-სთვის, სასურსათო უსაფრთხოება და კვების ინდუსტრიის განვითარება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიული პრიორიტეტია. რეგიონში არსებული გამოწვევები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: იმპორტზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება; არასაკმარისი ადგილობრივი წარმოება და შეზღუდული კონკურენტუნარიანობა; ფასების სეზონური რყევები; ტურიზმით განპირობებული გაზრდილი მოთხოვნა; კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გამოწვევები; მცირე და საშუალო ფერმერების

შეზღუდული წვდომა რესურსებზე; ხარისხის კონტროლის პრობლემები; კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

ამ მრავალმხრივი საკითხების გავლენა საზოგადოების კეთილდღეობაზე მოითხოვს სიღრმისეულ კვლევასა და კომპლექსურ მიდგომას. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს, როგორც მოკლევადიან სტაბილურობას, ისე გრძელვადიან მდგრად განვითარებას კვების ინდუსტრიაში.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე განახორციელდეს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიების ფუნდამენტური კვლევა. ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს სასურსათო პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრების, უვნებლობის სტანდარტების, რაოდენობრივი ხელმისაწვდომობისა და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები და პრობლემები. კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულია სეზონური მიწოდების თავისებურებების სიღრმისეული ანალიზი და სასურსათო პროდუქციის მრავალფეროვნების გაზრდის პოტენციალის შეფასება; ემპირიული და თეორიული კვლევის შედეგების სინთეზის საფუძველზე შევიმუშავეთ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, მეცნიერულად დასაბუთებული პრაქტიკული რეკომენდაციები.

**კვლევის ამოცანები.** მიზნის მიღწევისთვის შემუშავდა ამოცანები, მათ შორის სასურსათო უსაფრთხოების თეორიული საფუძვლების შესწავლა, აჭარის ა/რ-ს სასურსათო პოტენციალის შეფასება, კვების ინდუსტრიის ანალიზი, პროდუქციის ხარისხის კვლევა, დარგთა შეთანწყობის ოპტიმიზაცია, სეზონური მიწოდების ანალიზი, სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის ჰიპოთეზა.** წინამდებარე კვლევა ეფუძნება ძირითად ჰიპოთეზას, კერძოდ: საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება მნიშვნელოვნად განისაზღვრება ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების ერთობლიობით - იმპორტის გეოგრაფიული კონცენტრაცია, სეზონური ფასების დინამიკა, ტექნოლოგიური მოდერნიზაციის არათანაბარი ტემპი, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების არასაკმარისი ეფექტიანობა, აჭარის ა/რ-ს ტურიზმის გავლენა მოთხოვნაზე, რეგიონული გეოგრაფიული თავისებურებები, მცირემიწიანი მეურნეობების პრევალირება და აგროეკოლოგიური ზონირების საჭიროება - რაც კომპლექსურად ზემოქმედებს ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის ხარისხზე.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანს წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. კვლევის ობიექტია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კვების ინდუსტრია.

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევა ეფუძნება მეთოდოლოგიურ მიდგომათა ინტეგრირებულ კომბინაციას. მოიცავს სისტემურ, სტატისტიკურ და შედარებით ანალიზს, ექსპერტულ შეფასებებსა და SWOT ანალიზს. გამოყენებულია თვითუზრუნველყოფის დონის შეფასება, Herfindahl-Hirschman ინდექსზე დაფუძნებული იმპორტის გეოგრაფიული კონცენტრაციის ანალიზი და პირსონის კოეფიციენტით კორელაციური ანალიზი. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები აჭარის ა/რ-ს აგრარული სექტორის ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სამეცნიერო დაწესებულებებისა და აგროსასურსათო საწარმოების ხელმძღვანელებთან. კვლევა ეყრდნობა სასურსათო უსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის თეორიებს, FAO-ს, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

**კვლევის ინფორმაციული ბაზა.** კვლევის ინფორმაციულ საფუძველს წარმოადგენს: საქსტატისა და აჭარის ა/რ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშები; საერთაშორისო ორგანიზაციების (FAO, WHO, WTO, WB) ანალიტიკური დოკუმენტები და მონაცემთა ბაზები; ქართველი და უცხოელი მეცნიერების პუბლიკაციები; საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები; ექსპერტული ინტერვიუების შედეგად მოპოვებული პირველადი მონაცემები; საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის სფეროში.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები მოიცავს მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ სიახლეებს. კვლევის პროცესში მიღებული შედეგებიდან მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს შემდეგი:

- დასაბუთებულია, რომ კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს არა მხოლოდ ბიზნესის მიღწევათა შედეგს, არამედ სახელმწიფო პოლიტიკისა და ინსტიტუციური რეფორმებით მიღწეული შედეგების ერთობლიობას;
- დადგენილია, რომ კვების ინდუსტრიის, მათ შორის სასურსათო მეურნეობის მწარმოებლურობა, წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას;
- ჩამოყალიბებულია შეხედულება, რომ კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა არის უნარი, შესაძლებლობა და მზადყოფნა საერთაშორისო ბაზრების შესაბამისი სტანდარტების პროდუქტების წარმოებისათვის და ინდუსტრიაში ჩართული სუბიექტების შემოსავლების მდგრადობის უზრუნველყოფისთვის;
- წარმოდგენილია არგუმენტირებული მოსაზრებები სასურსათო ინდუსტრიის დარგების შეთანწყობის ოპტიმიზაციის

შესახებ. გამოკვეთილია ინოვაციური, ინდუსტრიული, საექსპორტო და ტრადიციული სასურსათო შიდა ბაზრის ფორმირებული დარგების განვითარების ძირითადი პარამეტრები;

- დასაბუთებულია სასურსათო ინდუსტრიის ცალკეულ დარგებში ექსპორტისა და იმპორტის შემაფერხებელი ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილია შიგა ბაზრებზე კომპანიების, საიმპორტო და საექსპორტო ტარიფების, კვოტების, ლიცენზიების, ტექნოლოგიების გადაცემის პროცესში არსებული შეზღუდვების შემსუბუქების ან გაუქმების საკითხებზე;
- დასაბუთებულია სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების მიზანშეწონილობა. წარმოდგენილია შესაბამისი ფინანსური, ორგანიზაციული, სტრუქტურული, ტექნოლოგიური, ინოვაციური და სოციალური ხასიათის მექანიზმების ტრანსფორმაციის შესაძლებლობები, სტრატეგიის რეალიზაციის ეტაპები და მექანიზმები;
- წარმოდგენილია კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობისა და სასურსათო უზრუნველყოფის შეფასება რეგიონულ დონეზე. გამოკვეთილია ამ პროცესებში სახელმწიფოს, მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების, სხვადასხვა ფონდებისა და გაერთიანებების ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების შესაძლებლობები და საჭიროება;
- შემუშავებულია რეკომენდაციები სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისთვის;
- გაანალიზებული და გათვალისწინებულია უცხოური გამოცდილება კვების ინდუსტრიის განვითარების სფეროში;

- წარმოდგენილია დასაბუთებული წინადადებები ფერმერული მეურნეობის განვითარების, მიკრო და მცირე ფერმერების კვების ინდუსტრიაში ჩართვის საბაზრო მექანიზმებისა და შემოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობების შესახებ. მოცემულია კონკრეტული ღონისძიებათა სისტემის თანმიმდევრობა და რეალიზაციის გზები;
- შემუშავებული და დასაბუთებულია დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს გააჩნია მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება. კვლევის მასალები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რეგიონული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში და კვების ინდუსტრიის განვითარების პროგრამების დაგეგმვისას. ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი და დასკვნები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგები პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ბიზნეს სუბიექტებისთვის, მათი სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებისას. კვლევაში წარმოდგენილი მასალები და მიგნებები სასარგებლო იქნება ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის, მკვლევარებისა და პრაქტიკოსებისთვის საკითხის სიღრმისეული შესწავლის პროცესში.

**ნაშრომის სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.



კვლევის მიზნისა და ამოცანების, მიღებული შედეგების, არგუმენტირებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად ნაშრომი ჩამოვაყალიბეთ შემდეგი სტრუქტურით:

### **შესავალი**

**თავი 1. სასურსათო უსაფრთხოება და კონკურენტუნარიანობის ეკონომიკური არსი და მნიშვნელობა**

- 1.1 სასურსათო უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი.
- 1.2 კვების ინდუსტრიის თანამედროვე გაგება და კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები.
- 1.3 სასურსათო უსაფრთხოება და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მოწინავე გამოცდილება, ძირითადი მიმართულებები.

**თავი 2. სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ზოგიერთი საკითხი.**

- 2.1. აჭარის ა/რ-ს სასურსათო პოტენციალის შეფასება და წარმოების ინოვაციური მიდგომები.
- 2.2. სასურსათო უსაფრთხოების და კონკურენტუნარიანობის ანალიზი და ძირითადი ტენდენციები.
- 2.3. დარგთა შეთანწყობის პრობლემები სასურსათო მეურნეობაში.

**თავი 3. კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შეფასება და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიები.**

- 3.1. კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ეროვნულ სტრატეგიაში ჩართულობა.
- 3.2. ეკონომიკური, ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების ძირითადი მიმართულებები.
- 3.3. მთავრობის ჩართულობა საექსპორტო სტრატეგიებში და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

### **დასკვნები და წინადადებები**

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და მისი უზრუნველყოფა არის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. საკვების დეფიციტი და შიმშილი იწვევს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს, როგორცაა სიდარბე, არასტაბილურობა, მიგრაცია და კონფლიქტები. შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან.

ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს უნარი, უზრუნველყოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება და მოქალაქეთა კეთილდღეობა როგორც გარე, ისე შიდა გამოწვევების პირობებში. ეს კონცეფცია გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერეს, მოქნილობასა და ადაპტაციის უნარს კრიზისული სიტუაციების დროს. ისტორიულად, ეკონომიკური უსაფრთხოების ცნება ევოლუციას განიცდიდა და დღეს მოიცავს მრავალ ურთიერთდამოკიდებულ ასპექტს.

ჩვენი აზრით ყურადსაღებია ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფცია, რომელიც მოიცავს რამდენიმე კრიტიკულ კომპონენტს, მათ შორის: მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ფინანსურ უსაფრთხოებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, სასურსათო უსაფრთხოებას და ტექნოლოგიურ უსაფრთხოებას.

ეს კომპონენტები ურთიერთდაკავშირებული და კომპლექსურია, განსაკუთრებით მცირე, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა. თითოეული მათგანი საქართველოს რეალობაში სპეციფიკური გამოწვევებით ხასიათდება:

მაკროეკონომიკური სტაბილურობა საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლარის კურსის მერყეობის, სავაჭრო

დეფიციტისა და საგარეო ვალის კონტექსტში. ქვეყნის ეკონომიკა მგრძნობიარეა გარე შოკების მიმართ, რაც 2008 წლის ომის, 2020 წლის პანდემიისა და რეგიონული კონფლიქტების დროს გამოჩნდა.

ფინანსური უსაფრთხოების კუთხით, საქართველოს საბანკო სექტორი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება, რაც სისტემურ რისკებს ზრდის. კერძოდ, ორი სისტემური მნიშვნელობის ბანკი - საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი - აკონტროლებს საბანკო სექტორის აქტივების დაახლოებით 75%-ს. სექტორის კონცენტრაციის მაჩვენებელი (HHI ინდექსი) აქტივების მიხედვით 2800-ს აღემატება, რაც მნიშვნელოვნად სცდება საერთაშორისოდ მიღებულ ზღვარს (2000) მაღალკონცენტრირებული ბაზრებისთვის. ამასთან, მოსახლეობის მაღალი დოლარიზაცია დამატებით გამოწვევას წარმოადგენს - სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი 50%-ს აღწევს, ხოლო დეპოზიტების დოლარიზაცია 60%-ს აღემატება. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება სეზ-ის სამიზნე ნიშნულებს და ზრდის ფინანსურ სექტორში სავალუტო რისკებს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება კრიტიკულია, რადგან საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტირებულ ენერგორესურსებზე. თუმცა, ჰიდრორესურსების სწორი ათვისება და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის გაძლიერება შესაძლებლობების ფანჯარას ხსნის.

სასურსათო უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალური კრიზისების ფონზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალი სათანადოდ არ არის ათვისებული, ხოლო საკვები პროდუქტების იმპორტზე დამოკიდებულება მაღალია. სასურსათო უსაფრთხოების ეკონომიკური ხელმისაწვდომობის კუთხით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წელს საქართველოში საკვები პროდუქტების და სასმელების იმპორტმა 1.63 მილიარდი დოლარი შეადგინა, მაშინ როცა ექსპორტი მხოლოდ 1.24

მილიარდ დოლარს შეადგენდა. ეს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი (-390 მილიონი დოლარი) მიუთითებს ქვეყნის მაღალ დამოკიდებულებაზე იმპორტირებულ სასურსათო პროდუქციაზე, რაც თავის მხრივ ზრდის მოწყვლადობას საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ცვლილების მიმართ.

ტექნოლოგიური უსაფრთხოების კუთხით, საქართველო დგას გამოწვევების წინაშე ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში. კიბერუსაფრთხოება, ტექნოლოგიური ჩამორჩენის დამლევა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

ამ კომპონენტების ურთიერთქმედება ქმნის კომპლექსურ სურათს, სადაც ერთი სფეროს პრობლემა ხშირად აისახება სხვა სფეროებზეც. მაგალითად, ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები პირდაპირ აისახება მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, ხოლო ფინანსური სექტორის გამოწვევები გავლენას ახდენს ტექნოლოგიურ განვითარებაზე.

შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს სისტემურ მიდგომას და კოორდინირებულ პოლიტიკას ყველა ზემოხსენებული მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოხდეს რისკების პრევენცია და შემარბილებელი მექანიზმების შემუშავება, რაც საქართველოს ეკონომიკას მეტ მდგრადობას შესძენს გლობალური გამოწვევების პირობებში.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მდგრადი განვითარების პარადიგმა, რომელიც ეკონომიკურ უსაფრთხოებას განიხილავს ეკოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებთან მჭიდრო კავშირში. ამ კონტექსტში, სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სასურსათო უსაფრთხოების სხვადასხვა განმარტება, თუმცა ჩვენ პრობლემის იდენტიფიცირებისა და სიღრმისეული ანალიზის შემდეგ, ჩამოვყალიბეთ შემდეგნაირად: სასურსათო უსაფრთხოება არის ქვეყნის უნარი, უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვებით ნებისმიერ ვითარებაში. ეს გულისხმობს არა მხოლოდ საკმარისი რაოდენობის საკვების არსებობას, არამედ მის ხელმისაწვდომობას ყველა მოქალაქისთვის და ამასთან, ხარისხიანი, უვნებელი პროდუქტების მიწოდებას.

ჩვენი შეფასებით, სასურსათო უსაფრთხოება, ეს არის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. როდესაც ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს საკუთარ მოსახლეობას საკვებით, ის მოწყვლადი ხდება საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის მიმართ, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება, მის სუვერენიტეტზე. ამასთან, სასურსათო უსაფრთხოება არის, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი - როდესაც ადამიანებს არ აქვთ საშუალება დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები, იზრდება სოციალური დაძაბულობა და უკმაყოფილება, რაც პოლიტიკურ არასტაბილურობაში გადაიზრდება.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) თანამედროვე განმარტებით - სასურსათო უსაფრთხოება არსებობს სწორედ მაშინ, როდესაც საზოგადოების ყველა წევრს, ნებისმიერ დროს, გააჩნია შეუფერხებელი წვდომა ადეკვატურ და სრულფასოვან საკვებზე, რომელიც უზრუნველყოფს მათი ფიზიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს სრულყოფილ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

FAO-ს გამოყოფილი აქვს სასურსათო უსაფრთხოების ოთხი განზომილება:

1. ხელმისაწვდომობა - საკვების ადეკვატური რაოდენობის არსებობა საბაზრო წყაროებიდან, საკუთარი წარმოებით ან იმპორტის დახმარებით.
2. სურსათზე ეკონომიკური და ფიზიკური მისაწვდომობა - სურსათის შესაძენად საკმარისი რესურსების ქონა.
3. სურსათის გამოყენება - საკვების სათანადო მომზადება და ჰიგიენური მოხმარება.
4. სტაბილურობა - სურსათზე სტაბილური ხელმისაწვდომობა დროის განმავლობაში.

სწორედ ამ ოთხი კომპონენტის გააზრებით და ანალიზით ჩამოვყალიბეთ - ტერმინი „სასურსათო ხელმისაწვდომობა“ - რომელიც მოიცავს როგორც პროცესს, ისე შედეგს და მკაფიოდ გამოხატავს სურსათზე ხელმისაწვდომობის, სასურსათო უვნებლობისა და უსაფრთხოების კომპლექსურ ბუნებას.

სასურსათო უსაფრთხოების კუთხით, საქართველო საკმაოდ მოწყვლადი ქვეყანაა, რამდენიმე გარემოების გამო. პირველ რიგში, ქვეყნის შიდა წარმოების და პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების მიხედვით, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოება ვერ აკმაყოფილებს შიდა მოთხოვნას და მაღალია იმპორტზე დამოკიდებულება. გარდა ამისა, ქვეყანაში 2023 წლის მონაცემებით, ჯერ კიდევ 11,8%-ია აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი. აღსანიშნავია სხვა ისეთი ფაქტორებიც როგორიცაა, ინფრასტრუქტურული გამოწვევები, ეკონომიკური საკითხები: ლარის კურსის მერყეობა, მოსახლეობის დაბალმსყიდველუნარიანობა და სხვა. ასევე, ცოდნისა და ტექნოლოგიების დეფიციტი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სასურსათო უზრუნველყოფის პოლიტიკის სწორად შექმნაში.

გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსში (2023) კი ლიდერობენ სკანდინავიის და დასავლეთ ევროპის ქვეყნები: ფინეთი (83.7), ირლანდია (81.7) და ნორვეგია (80.5). რეგიონულ

კონტექსტში აზერბაიჯანი იკავებს 66-ე (59.8), თურქეთი 49-ე (65.3) და რუსეთი 43-ე (69.1) პოზიციებს. FAO-ს მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 32.4% (1.2 მილიონი ადამიანი) განიცდის ზომიერ ან მძიმე სასურსათო უსაფრთხოებას, 7.5% (300,000 ადამიანი) იმყოფება მძიმე სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობაში, ხოლო 4% (100,000 ადამიანი) განიცდის არასაკმარის კვებას.

საქართველოს სასურსათო ბალანსების ანალიზი (ცხრილი N1) გვიჩვენებს ძირითადი პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებს.

**ცხრილი N1. სასურსათო ბალანსი ზოგიერთ პროდუქტზე**

მაჩვენებლები		პერიოდი (წელი)			
		2020	2021	2022	2023
მოსახლეობა, ათასი კაცი		3 729	3689	3 736	3 695
ხორბალი	თვითუზრუნველყოფა	15%	22%	22%	22%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	102	136	157	147
	იმპორტი (ათასი ტონა)	570	482	557	535
	მოხმარება ერთ სულზე (ფუკილი)/ კგ.წლ.	130	127	118	114
სიმინდი	თვითუზრუნველყოფა	68%	74%	62%	70%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	255	233	153	191
	იმპორტი (ათასი ტონა)	121	83	97	81
	მოხმარება ერთ სულზე (ფუკილი)კგ. წლ.	34	37	37	35
კარტოფილი	თვითუზრუნველყოფა	92%	115%	101%	87%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	209	235	199	197
	იმპორტი (ათასი ტონა)	24	19	21	35
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	49	53	51	50

ბოსტნეული	თვითუზრუნველყოფა	63%	61%	52%	52%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	176	149	129	142
	იმპორტი (ათასი ტონა)	112	108	129	142
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	57	56	51	58
ყურბენი	თვითუზრუნველყოფა	145%	173%	201%	236%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	317	272	287	221
	იმპორტი (ათასი ტონა)	1	1	1	1
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	21	20	18	19
ხორცი	თვითუზრუნველყოფა	49%	51%	50%	47%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	69.4	72.6	74.6	78.7
	იმპორტი (ათასი ტონა)	84.9	84.8	101.2	108.7
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	38	38	40	45
კვერცხი	თვითუზრუნველყოფა	80%	83%	83%	74%
	ადგილობრივი წარმოება (მლნ.ცალი)	675	655	655	653
	იმპორტი (მლნ.ცალი)	28	17	37	62
	მოხმარება ერთ სულზე / ცალი წელიწადში	171	166	169	176
რძე და რძის პროდუქტები	თვითუზრუნველყოფა	81%	81%	77%	75%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	569	588	565	584
	იმპორტი (ათასი ტონა)	159	155	175	197
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	183	192	191	204

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე



საქართველოს მარცვლეული კულტურების წარმოების ანალიზი გამოავლენს როგორც პოზიტიურ დინამიკას, ისე სისტემურ გამოწვევებს. ხორბლის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 15%-დან 22%-მდე გაიზარდა, ხოლო წარმოება 101 ათასი ტონიდან 147 ათას ტონამდე, თუმცა იმპორტი (535 ათასი ტონა) კვლავ მაღალია. აღსანიშნავია ერთ სულზე მოხმარების შემცირება (129-დან 114 კგ-მდე), რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს კვებითი ჩვევების ცვლილებას, ფასების ზრდას ან ალტერნატიული პროდუქტების ხელმისაწვდომობას.

სიმიდის წარმოება ხასიათდება არასტაბილურობით - თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მერყეობს 62-74%-ის ფარგლებში, ხოლო წარმოება 2020-2022 წლებში 255 ათასი ტონიდან 153 ათას ტონამდე შემცირდა. ეს გამოწვეულია აგროტექნოლოგიური პროცესების არასრულყოფილებით, კლიმატის ცვლილებებისადმი დაბალი ადაპტაციით, მიწების ფრაგმენტაციით და საირიგაციო სისტემების არასათანადო მდგომარეობით.

ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაში იკვეთება მნიშვნელოვანი პრობლემები. კარტოფილის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 115%-დან 87%-მდე შემცირდა, ხოლო იმპორტი თითქმის გაორმაგდა (19-დან 35 ათას ტონამდე). ბოსტნეულის წარმოებაში კიდევ უფრო მწვავე მდგომარეობაა - თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 62%-დან 52%-მდე შემცირდა, ხოლო 2023 წელს ადგილობრივი წარმოება და იმპორტი გათანაბრდა (142 ათასი ტონა).

მეცხოველეობის დარგში თვითუზრუნველყოფის დიფერენცირებული მაჩვენებლებია: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 74%, ღორი - 41%, ფრინველი - 32%, ცხვარი/თხა - 100%. აგრეგირებულად, ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 47%-ია, რაც მიუთითებს, რომ მოხმარება ორჯერ აღემატება ადგილობრივ წარმოებას.

კვერცხის წარმოებაში შედარებით სტაბილური მდგომარეობაა - თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მცირედით შემცირდა (96%-დან 93%-მდე), თუმცა იმპორტი მკვეთრად გაიზარდა (32-დან 62 მილიონ ცალამდე). რძისა და რძის პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2014-2023 წლებში 90%-დან 75%-მდე შემცირდა, რაც განპირობებულია მოხმარების ზრდით (170-დან 204 კგ-მდე ერთ სულზე) და იმპორტის მკვეთრი მატებით (71-დან 197 ათას ტონამდე).

დადებითი ტენდენცია აღინიშნება ყურძნის მოყვანაში, რომლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 236%-ია, თუმცა იმპორტის მონაცემები შესაძლოა არასრულად ასახავდეს რეალობას - ალტერნატიული წყაროების მიხედვით, 2020-2023 წლებში იმპორტი 676 ტონიდან 2,477 ტონამდე გაიზარდა.

სექტორების ანალიზი ცხადყოფს, რომ აგროსასურსათო სფეროში დაბალი თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები განპირობებულია სისტემური პრობლემებით. დაბალი თვითუზრუნველყოფის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება დასახელდეს: აგროტექნოლოგიური პროცესების არასრულყოფილება; თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვის დაბალი დონე; კლიმატური პირობების ცვლილებებისადმი დაბალი ადაპტაციის უნარი; სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია და მცირე ფერმერული მეურნეობების დომინირება; საირიგაციო სისტემების არასათანადო მდგომარეობა; თანამედროვე სასაწყობე და შემნახველი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა.

საქართველოში გამოვლენილი გამოწვევები ასახავს უფრო ფართო, გლობალური მასშტაბის პრობლემატიკას სასურსათო უსაფრთხოების სფეროში. სასურსათო უსაფრთხოება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. გლობალურ კონტექსტში აღსანიშნავია შემდეგი პრობლემები:

მოსახლეობის ზრდა (გაეროს პროგნოზით 2050 წლისთვის 9.7 მილიარდი), კლიმატის ცვლილება (რომელიც 2030 წლისთვის გამოიწვევს შიმშილის რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების რაოდენობის ზრდას 20%-ით), ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, სიღარიბე და უთანასწორობა, სასურსათო დანაკარგები (მსოფლიოში წარმოებული საკვების დაახლოებით 1/3 იკარგება), პოლიტიკური არასტაბილურობა და პანდემიები.

სასურსათო უსაფრთხოება ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს: იგი ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის ფორმირებას კოგნიტური და ფიზიკური განვითარების სტიმულირებით, უზრუნველყოფს სიღარიბის შემცირებას, განაპირობებს სოციალურ სტაბილურობას, აუმჯობესებს შრომის ნაყოფიერებასა და ეკონომიკურ ზრდას. ამავდროულად, ამცირებს საგარეო ეკონომიკურ რისკებს იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების გზით.

კვების ინდუსტრია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ და დინამიურ სექტორს მსოფლიო ეკონომიკაში. თანამედროვე გაგებით, კვების ინდუსტრია მოიცავს არა მხოლოდ საკვების წარმოებასა და გადამამუშავებას, არამედ მომსახურების, ლოჯისტიკის, მარკეტინგისა და ინოვაციების ფართო სპექტრს მთელი ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ.

ჩვენი აზრით, როცა ვსაუბრობთ კვების ინდუსტრიის თანამედროვე კონცეფციაზე, ასევე, აუცილებელია გამოვყოთ მდგრადობა, ინოვაციურობა და სოციალური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, კვების ინდუსტრიის თანამედროვე მცნება შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: კვების ინდუსტრია არის ინტეგრირებული სოციო-ეკონომიკური სისტემა, რომელიც აერთიანებს სასურსათო პროდუქციის წარმოების, გადამამუშავების, დისტრიბუციისა და მომსახურების ურთიერთდაკავშირებულ პროცესებს, ეფუძნება ინოვაციურ ტექნოლოგიებს, მდგრადი განვითარების პრინციპებს

და მიმართულია საზოგადოების კვებითი მოთხოვნილებების ეფექტიან დაკმაყოფილებაზე.

როგორც ვხედავთ, კვების ინდუსტრია წარმოადგენს რთულ, მრავალდარგობრივ სამრეწველო კომპლექსს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის საწარმოო და მომსახურების სფეროებს. ინდუსტრიის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება ხდება, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების, ისე თანამედროვე ტექნოლოგიური და საბაზრო მოთხოვნების საფუძველზე.

კვების ინდუსტრია მოიცავს ექვს ძირითად სფეროს:

1) პირველადი გადამუშავების დარგები (მარცვლეულის, ხორცის, რძის, ხილ-ბოსტნეულისა და თევზის დამუშავება);

2) საკვები პროდუქტების წარმოება (პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო, ხორცპროდუქტები, რძის პროდუქტები, ზეთები, კონსერვები, სასმელები);

3) დამხმარე სფეროები (საფუთავი მასალები, სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობა, სპეციალიზებული ტრანსპორტი, ხარისხის კონტროლი);

4) სავაჭრო-სადისტრიბუციო სფერო (საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ონლაინ პლატფორმები);

5) საზოგადოებრივი კვების ობიექტები (რესტორნები, კაფეები, სწრაფი კვების ობიექტები);

6) ინოვაციური სფეროები (კვლევითი ლაბორატორიები, ახალი პროდუქტების განვითარება, ბიოტექნოლოგიები).

თითოეული ეს დარგი და სფერო წარმოადგენს კვების ინდუსტრიის განუყოფელ ნაწილს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბოლოო პროდუქციის შექმნაში. დარგების განვითარების დონე და მათი ხვედრითი წილი განსხვავდება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, რაც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ბუნებრივ-

კლიმატურ პირობებზე, ისტორიულ ტრადიციებზე, ტექნოლოგიური განვითარების დონეზე, საინვესტიციო გარემოზე, სამომხმარებლო ბაზრის თავისებურებებსა და საექსპორტო პოტენციალზე.

კვების ინდუსტრიის დარგობრივი სტრუქტურა საქართველოში ასახავს ქვეყნის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს და ისტორიულად ჩამოყალიბებულ საწარმოო სპეციალიზაციას. საქსტატის მონაცემებით (2023), კვების მრეწველობა შეადგენს საქართველოს გადამამუშავებელი მრეწველობის 25.3%-ს, რაც მიუთითებს ამ სექტორის მნიშვნელოვან როლზე ეროვნულ ეკონომიკაში. კვლევის შედეგად დადგინდა კვების ინდუსტრიის ძირითადი დარგების განაწილება საქართველოსა და აჭარის რეგიონში:

**ცხრილი N2. კვების ინდუსტრიის ძირითადი დარგები საქართველოში, მ.შ. აჭარაში**

დასახელება/წარმოება	საერთო წილი წარმოებაში	აჭარა	დანარჩენი საქართველო
სასმელები	38.2%	12.5%	87.5%
პურ-ფუნთუშეულის და საკონდიტრო ნაწარმი	15.7%	18.3%	81.7%
ხორცპროდუქტები	12.4%	8.2%	91.8%
რძის პროდუქტები	8.6%	5.4%	94.6%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშებზე დაყრდნობით.

\*კვების ინდუსტრიის თავისებურება აჭარაში: ციტრუსების გადამამუშავება და თევზის პროდუქტების წარმოება შეადგენს რეგიონის კვების მრეწველობის 15.3%-ს.

შედარებითი ანალიზისთვის განხილულია სლოვენისა და ხორვატიის გამოცდილება, რომლებიც რესურსული პოტენციალი-თა და მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს მსგავსია, თუმცა კვების ინდუსტრიის განვითარების დონით მნიშვნელოვნად უსწრებენ. სლოვენიაში კვების ინდუსტრიის წილი გადამამუშავებელ მრეწველობაში 37.8%-ს შეადგენს, ხოლო ხორვატიაში - 32.4%-ს.

**ცხრილი N3. შედარებითი ანალიზი, სლოვენია და ხორვატია**

სლოვენია (37.8%)		ხორვატია (32.4%)	
რძის პროდუქტები	28.5%	ზღვის პროდუქტები	24.6%
ხორცპროდუქტები	22.3%	სასმელები	22.3%
პურ-ფუნთუშეული	15.2%	ხორცპროდუქტები	18.5%
სასმელები	14.8%	რძის პროდუქტები	15.8%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, მოცემულ წყაროებზე დაყრდნობით Statistical Office of Slovenia. (2023). *Agricultural Statistics Report & Croatian Chamber of Economy. (2023). Food Industry Sector Analysis*. Zagreb: CCE.

შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს კვების ინდუსტრიის სტრუქტურაში დომინირებს სასმელების წარმოება (38.2%), მაშინ, როცა წარმატებულ მსგავს ქვეყნებში უფრო დაბალანსებული სტრუქტურაა. მნიშვნელოვანია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მაღალია რძის და ხორცპროდუქტების წილი, რაც მიუთითებს მეცხოველეობის დარგის უკეთეს განვითარებაზე.

კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს კომპლექსურ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც ასახავს ინდუსტრიის შესაძლებლობას, შექმნას და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. მაიკლ პორტერის კონკურენტული უპირატესობის თეორიის თანახმად, კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა ეფუძნება რამდენიმე ფუნდამენტურ ასპექტს: წარმოების ეფექტიანობას,

პროდუქციის ხარისხსა და უსაფრთხოებას, და ინოვაციურ პოტენციალს.

კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ კატეგორიებად:

**ცხრილი N4. კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები**

<b>1.პროდუქტის მახასიათებლები:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>- გემო, ტექსტურა, არომატი და ვიზუალური მიმზიდველობა</li> <li>- საკვები ღირებულება და ფუნქციური თვისებები</li> <li>- შეფუთვის დიზაინი და ეტიკეტირება</li> <li>- ინოვაციური ინგრედიენტები და ფორმულები</li> </ul>
<b>2.წარმოების ფაქტორები:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ნედლეულის ხელმისაწვდომობა და ხარისხი;</li> <li>- რესურსების ფლობა და განკარგვა;</li> <li>- ეფექტური და ჰიგიენური გადამამუშავების ტექნოლოგიები;</li> <li>- წარმოების მასშტაბის ეკონომია და ეფექტიანობა;</li> <li>- სერტიფიცირების და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები;</li> </ul>
<b>3. ლოჯისტიკური ფაქტორები:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>- "ცივი ჯაჭვის" ინფრასტრუქტურა და მართვა (მუდმივი ტემპერატურის და სხვა პარამეტრების მართვა);</li> <li>- ტრანსპორტირებისა და განაწილების ქსელები;</li> <li>- ინვენტარიზაციის მენეჯმენტი და მიწოდების დროულობა;</li> <li>- გეოგრაფიული მდებარეობა და ბაზრებთან სიახლოვე.</li> </ul>
<b>4. მარკეტინგული ფაქტორები:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბრენდინგი და პოზიციონირება;</li> <li>- სარეკლამო და პრომო აქტივობები;</li> <li>- ფასდაკლებები და მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები;</li> <li>- გაყიდვების არხების მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა.</li> </ul>

<b>5. საბაზრო და მარე-გულირებელი ფაქტორები:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბაზრის ზომა და ზრდის პოტენციალი;</li> <li>- მომხმარებელთა მოთხოვნები და პრეფერენციები;</li> <li>- კონკურენციის ინტენსივობა და საბაზრო სტრუქტურა;</li> <li>- სამთავრობო რეგულაციები, სტანდარტები და სავაჭ. პოლიტიკა;</li> <li>- გლობალურ პროცესებში ჩართულობა;</li> <li>- ტექნიკური და ტექნოლოგიური ცოდნა.</li> </ul>
<b>6. მდგრადობის ფაქტორები:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>- გარემოსდაცვითი გავლენის შემცირება წარმოებაში, შეფუთვისა და ტრანსპორტირებაში;</li> <li>- ეთიკური და სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკა;</li> <li>- სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივები;</li> <li>- ჯანსაღი და მდგრადი პროდუქტების სეგმენტზე ფოკუსირება;</li> <li>- კულტურა და ტრადიციები.</li> </ul>

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, მოცემულ წყაროზე დაყრდნობით Clarke, S., Arnall, C., & Smith, D. (2022). Sustainable food systems in the 21st Century. In Sustainable Food Systems.

ინოვაციური მიდგომების გამოყენება შეიძლება იყოს წარმატების უმიშვნელოვანესი ფაქტორი კვების ინდუსტრიაში. ამის ნათელი მაგალითია კომპანია "ოქროველის" მიერ დანერგილი უნარჩენო წარმოების კონცეფცია ტყის მოცვის გადამუშავებაში, სადაც პირველადი პროდუქტის (გამშრალი მოცვი) წარმოების პარალელურად ხდება მეორადი პროდუქტის - დაბალალკოჰოლური (7%) ტყის მოცვის ღვინის წარმოება. ეს მოდელი აერთიანებს ეკონომიკურ ეფექტურობას, კონკურენტულ უპირატესობას, სასურსათო დანაკარგების შემცირებას, სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას, გარემოსდაცვით სარგებელსა და დადებით სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას.

უნარჩენო წარმოების მიმართულებით ასევე, მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია ყურძნის გადამუშავებასა და ღვინის წარ-



მოებას, რომლის პროცესშიც შესაძლებელია მეორადი პროდუქტების მრავალმხრივი გამოყენება: ყურძნის წიპწისგან ზეთის წარმოება, ყურძნის კანის გამოყენება ბუნებრივ საღებავად და საკონდიტრო ინდუსტრიაში. ასევე, ვაზის ანასხლავისგან კომპოსტის დამზადება.

ზოგადად, უნარჩენო წარმოება და წრიული ეკონომიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც სურსათის წარმოებაში და ეკონომიკაში, ისე გარემოსდაცვით ნაწილში. FAO-ს მონაცემებით, მიწოდების ჯაჭვში, წელიწადში 1.3 მილიარდ ტონა საკვები ნადგურდება ან იკარგება სურსათის ნარჩენების შემცირება და უნარჩენო წარმოების პრინციპების დანერგვა კი, არის ეფექტური გზა სასურსათო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს სტრატეგიებს, როგორიცაა უფრო ზუსტი პროგნოზირება, ინვენტარის მონიტორინგი, ლოჯისტიკის ოპტიმიზაცია, ცივი ჯაჭვის გაძლიერება და სურსათის ნარჩენების გარდაქმნა სხვა პროდუქტებად ან ბიოსაწვავად.

აჭარის რეგიონში არსებული სამეწარმეო პოტენციალისა და გამოწვევების შესაფასებლად, ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა ექსპერტული ინტერვიუების მეთოდით. კვლევის ფარგლებში გამოვკითხეთ დარგის სპეციალისტები და ადამიანები, რომლებსაც აქვთ მდიდარი გამოცდილება ამ ინდუსტრიაში. მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულების გამოწვევა: ციტრუსის კულტურების მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ნერგების განახლება; მიწის რესურსების სიმწირე მოითხოვს ნიადაგის სისტემურ კვლევას; მეცხოველეობის განვითარებას აფერხებს არასათანადო ცოდნა და ინფრასტრუქტურა; მეფუტკრეობის დარგში აღინიშნება პროგრესი, თუმცა პრობლემას წარმოადგენს ბიო-სერტიფიცირების მაღალი ხარჯები პრობლემას წარმოადგენს; ტყის მოცვისა და სამკურნალო მცენარეების შეგროვების

მიმართულებით შეინიშნება ნედლეულის მოპოვების არეალის შემცირება.

ველური კენკრის, კერძოდ ტყის მოცვის შეგროვებას აჭარაში მრავალწლიანი ისტორია აქვს, თუმცა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. თუ ადრე ტყის მოცვი აჭარის დაბლობ ნაწილშიც (ქედა, ერგე და მსგავსი სოფლები) იზრდებოდა, დღეს მისი არეალი მხოლოდ მაღალმთიან აჭარაშია. შემცირებულია როგორც კენკრის რაოდენობა, ისე სტაბილურობა მწიფობისა და მოსავლიანობის თვალსაზრისით, რამაც უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივებზე. შპს "ნომა", რომელიც 15 წელზე მეტია ახორციელებს სამკურნალო მცენარეების შეგროვება-დამუშავებას მაღალმთიან აჭარაში, ტყის მოცვთან ერთად აგროვებს უკვდავას ყვავილს, ქაცვს, ასკილსა და დაბლობში ევკალიპტს. ამ მიმართულების შემდგომი განვითარებისთვის კი აუცილებელია კლიმატისა და ნიადაგის სიღრმისეული შესწავლა არსებული პრობლემების გამოსავლენად და მათი გადაჭრის გზების დასახვისთვის.

საქართველოს კვების ინდუსტრიის თანამედროვე განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსხვილი საცალო ვაჭრობის ოპერატორები, განსაკუთრებით "აგროჰაბი" და "გუდვილი", რომლებმაც შეძლეს ადგილობრივი კაპიტალით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბიზნეს-მოდელების განვითარება. ამ კომპანიებს შეუძლიათ მნიშვნელოვან წვლილი შეიტანონ ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერაში, ფერმერების განვითარებაში, ინოვაციური მიდგომების დანერგვაში, ეკონომიკურ ზრდასა და სტანდარტების ამაღლებაში.

კვების ინდუსტრიის თანამედროვე გაგება ეფუძნება, როგორც სამეცნიერო კვლევებს, ისე ტექნოლოგიურ ინოვაციებს, როგორიცაა ნუტრიგენომიკა და პერსონალიზებული კვება, ფუნქციური საკვები და ნუტრაცევტიკები, ალტერნატიული ცილის წყაროები,

ნანოტექნოლოგია, მდგრადი წარმოების ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. ეს მიმართულებები ასახავს კვების ინდუსტრიის თანამედროვე, მულტიდისციპლინურ ხასიათს, სადაც ბიოლოგია, ქიმია, ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერებები ერთიანდება ინოვაციური, ჯანსაღი და მდგრადი საკვების შესაქმნელად, რაც ხელს უწყობს როგორც კონკურენტუნარიანობის ზრდას, ისე სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას.

განვიხილოთ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამი წარმატებული მოდელის ანალიზი: ტექნოლოგიურ ინოვაციებზე დაფუძნებული (ნიდერლანდები, ისრაელი), დივერსიფიკაციის (სინგაპური) და რესურსულ უპირატესობაზე დაფუძნებული (რუსეთი) მოდელები.

ნიდერლანდების გამოცდილება განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ქვეყანამ მოახერხა მცირე ტერიტორიის პირობებში მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა. 2023 წლის მონაცემებით, ნიდერლანდებში სასათბურე მეურნეობის პროდუქტიულობა 1 ჰექტარზე 488,000 ევროს შეადგენს, აგროექსპორტის მოცულობა 124.4 მილიარდ ევროს აღწევს, ხოლო ენერგოეფექტურობის მაჩვენებელი 63%-ია განახლებადი ენერგიის წილით.

ისრაელის მოდელი წარმოადგენს მწირი წყლის რესურსების პირობებში მაღალეფექტიანი სოფლის მეურნეობის განვითარების მაგალითს. აგროტექნოლოგიურ სტარტაპებში ინვესტიციები 1.2 მილიარდ დოლარს აღწევს, წყლის დაზოგვა წვეთოვანი რწყვით 70%-ს შეადგენს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კვლევასა და განვითარებაში ინვესტიციები მშპ-ს 4.3%-ს უტოლდება.

სინგაპურის დივერსიფიკაციის მოდელი უნიკალურია, რადგან ქვეყანა მცირე ტერიტორიის მიუხედავად (მთლიანი ფართობის მხოლოდ 1% არის სასოფლო-სამეურნეო მიწა), აღწევს სასურსათო უსაფრთხოების მაღალ დონეს იმპორტის დივერსიფიკაციით (180+ ქვეყანა), ვერტიკალური ფერმების განვითარებით (220 ერთეული)

და ინოვაციური "30x30" სტრატეგიით, რომელიც მიზნად ისახავს 2030 წლისთვის ადგილობრივი მოთხოვნილების 30%-ის დაკმაყოფილებას საკუთარი წარმოებით.

საქართველოს მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი) სასურსათო უსაფრთხოების ანალიზი ავლენს, რომ რეგიონში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ბუნებრივი რესურსების, ეკონომიკური სტრუქტურისა და ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია. კერძოდ, კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, წყლის რესურსების უკეთესი ხელმისაწვდომობა და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მოსახლეობის შედარებით დაბალი სიმჭიდროვე.

შედარებითი უპირატესობის თეორიის გათვალისწინებით, კვლევაში გამოვლენილია საქართველოსთვის პრიორიტეტული მიმართულებები: მევენახეობა-მეღვინეობა (2023 წელს ექსპორტმა 240 მლნ აშშ დოლარი შეადგინა), მეხილეობა (წლიური წარმოება 464,000 ტონა) და თხილის წარმოება (ექსპორტი 120 მლნ აშშ დოლარი). სასურსათო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება. ეს მოიცავს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ტექნოლოგიურ თანამშრომლობას და სავაჭრო ინტეგრაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციისა და წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით.

ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტის ეფექტიანი რეალიზაციისთვის აუცილებელია საწარმოო პროცესების სტანდარტიზაცია. ამ კონტექსტში, კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენს აგროსასურსათო სექტორში, ხარისხის კონტროლის სტანდარტიზაცია. HACCP, ISO, Global GAP, GRASP და სხვა სისტემების დანერგვა უზრუნველყოფს პროდუქციის უვნებლობას, წარმოების საუკეთესო პრაქტიკასა და

სოციალურ პასუხისმგებლობას. ამ ინტეგრირებული სტანდარტების იმპლემენტაცია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და ზრდის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე, რაც განაპირობებს საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერება არ არის მხოლოდ ეკონომიკური საკითხი - ის წარმოადგენს სტრატეგიულ აუცილებლობას რეგიონული სტაბილურობისა და მდგრადი განვითარებისთვის. წარმოებაში, ვაჭრობასა და მიწოდების ჯაჭვებში თანამშრომლობა შეიძლება გახდეს რეგიონული ინტეგრაციისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი კატალიზატორი.

ხორბალი საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის კულტურაა, თუმცა ქვეყანა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე. ხორბლის წარმოების გაზრდის ერთ-ერთი გზაა თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა. ეს მოიცავს პრეციზიული (ზუსტი) მიწათმოქმედების მეთოდებს, თანამედროვე საირიგაციო სისტემებს და მოსავლის აღების ეფექტურ ტექნიკას. კვლევები აჩვენებს, რომ ამ ტექნოლოგიების დანერგვით შესაძლებელია მოსავლიანობის 30-40%-ით გაზრდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მუშაობს ადგილობრივი პირობებისთვის ადაპტირებული ხორბლის ჯიშების შექმნაზე. ახალი, მაღალმოსავლიანი და დაავადებებისადმი მდგრადი ჯიშების გამოყვანა და დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოებას.

ადგილობრივი წარმოების მხარდასაჭერად, საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელდა რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა: „დანერგე მომავალი“ (მრავალწლიანი კულტურების გაშენების წახალისება), "იაფი კრედიტი ფერმერებს" (შეღავათიანი აგროკრედიტი და ლიზინგი), სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები,

GITA- ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის და სტარტაპებისთვის, ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში სურსათის უვნებლობის სისტემების ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსება სოფლის მეურნეობის სექტორში (UNDP, USAID, WB და სხვა). მიუხედავად ამისა, ქვეყანას კვლავ ესაჭიროება მასშტაბური ინვესტიციები და რეფორმები სასოფლო-სამეურნეო სექტორის გასაძლიერებლად, სიღარიბის შესამცირებლად და სურსათის იმპორტის დივერსიფიკაციისთვის.

პარალელურად, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებასთან ერთად, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია არსებული იმპორტის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია. საქსტატის 2023 წლის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტის გეოგრაფიული კონცენტრაცია საკმაოდ მაღალია. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით ( $HHI = \sum si^2$ ) გამოვლინდა კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლები, რაც მიწოდების შეფერხების რისკებს ზრდის.

ხორბლის იმპორტი, რომელმაც 2023 წელს 535 ათასი ტონა შეადგინა, ხასიათდება მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაციით ( $HHI=0.72$ ), სადაც რუსეთი და ყაზახეთი მთლიანი მიწოდების 85%-ს უზრუნველყოფენ. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება რძის პროდუქტებშიც, რომელთა იმპორტმა 197 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო კონცენტრაციის ინდექსი 0.65-ს უტოლდება. ამ შემთხვევაში, ძირითადი მიმწოდებლები უკრაინა და ბელარუსია, თუმცა ბოლო პერიოდში გაჩნდა ახალი მიწოდების წყაროები — გერმანია და საფრანგეთი. შედარებით დივერსიფიცირებულია ბოსტნეულის იმპორტი (142 ათასი ტონა), რომლის კონცენტრაციის ინდექსი 0.58-ს შეადგენს, ხოლო ძირითადი მიმწოდებლები თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანია.

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სისტემა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოწყვლადობით ხასიათდება. სტრატეგიული პროდუქტების იმპორტის მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაცია ქვეყანას აყენებს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოტენციური პოლიტიკური რისკების წინაშე. განსაკუთრებით პრობლემურია, ის რომ ძირითადი მიმწოდებელი ქვეყნები ხშირად თავად არიან ჩართულნი გეოპოლიტიკურ დამაბულობებში.

ფასების დინამიკის ანალიზი ავლენს მჭიდრო ურთიერთკავშირს სამ ძირითად ფაქტორს შორის: იმპორტდამოკიდებულება, სეზონურობა და ინფრასტრუქტურული შეზღუდვები. საქართველოში 2024 წლის მონაცემებით გამოვლინდა, რომ ბოსტნეულსა და ბაღჩეულში ფასები მკვეთრად გაიზარდა (+5.3%), რაც გამოწვეულია როგორც სეზონური ფაქტორებით, ისე იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებით. ასევე აღინიშნა ზეთისა და ცხიმის (+3.0%) და რძის პროდუქტების (+2.4%) ფასების ზრდა, ხოლო ხილისა და ყურძნის ფასები შემცირდა (-1.0%) სეზონური ფაქტორების გამო.

კორელაციური ანალიზი აჩვენებს მჭიდრო კავშირს ( $r = 0.72$ ) სეზონურობასა და ფასების ცვლილებას შორის, განსაკუთრებით ბოსტნეულის კატეგორიაში. იმპორტდამოკიდებულების მაღალი დონე ( $HHI > 0.5$ ) პირდაპირ კორელირებს ფასების მერყეობასთან, რაც ადასტურებს ადგილობრივი წარმოების გაძლიერების მნიშვნელობას ფასების სტაბილურობისთვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ფასების მერყეობა არა-თანაბრად აისახება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე. დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის, რომლებიც შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს სურსათზე ხარჯავენ, ფასების ზრდა განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს და აღრმავებს სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევებს.

ანალიზი აჩვენებს, რომ ფასების სტაბილიზაციისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს იმპორტის დივერსიფიკაციას, ადგილობრივი წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ტექნოლოგიური განახლება, წარმოებისა და იმპორტის დივერსიფიკაცია, კოოპერაციის განვითარება, ხარისხის მართვის სისტემების დანერგვა და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დანერგვა.

სასურსათო უსაფრთხოების და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ეფექტური სტრატეგიების შემუშავება საჭიროებს არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევების გააზრებას, არამედ რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებასაც. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს განსაკუთრებულად საინტერესო მაგალითს, რომელიც ერთდროულად აწყდება სპეციფიკურ გამოწვევებს და ფლობს უნიკალურ შესაძლებლობებს. რეგიონის ორმაგი როლი – როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ტურისტული ცენტრისა და ამავდროულად სუბტროპიკული კულტურების წარმოების უნიკალური ზონისა – განაპირობებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყნის სასურსათო სისტემაში.

სეზონური ტურისტული ნაკადების მკვეთრი ზრდა აჭარაში ქმნის, როგორც გამოწვევას ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ისე შესაძლებლობას ქართული, უნიკალური ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციისთვის საერთაშორისო მასშტაბით. ტურისტული სეზონის პიკზე რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივ წარმოებას და მიწოდების ჯაჭვებს, რაც აჭარის სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიების შემუშავებისას აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია.




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, მთიან და მთისწინა ტერიტორიებს. რეგიონს გააჩნია სუბტროპიკული ნოტიო კლიმატი, ხასიათდება ხშირი ნალექებითა და ზომიერი ტემპერატურით. რეგიონის ნიადაგები განსხვავებულია და მოიცავს ყავისფერ, წითელმიწა, ჭაობის და ალუვიურ ნიადაგებს. ეს პირობები ქმნის სხვადასხვა კულტურების, როგორცაა ციტრუსი, თხილი, ჩაი, ხილი და ბოსტნეული, მოყვანის შესაძლებლობას.

აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია სამი ძირითადი მიმართულებით: ტრადიციული დარგები, სამოყვარულო და ინოვაციური მიმართულებები. რეგიონის აგროკლიმატური პირობები და ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო კულტურა განაპირობებს ტრადიციული დარგების მრავალფეროვნებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციტრუსების წარმოება (53,000 ტონა წლიურად, 2022), რომელიც წამყვან როლს ასრულებს ფერმერული მეურნეობების შემოსავლების ფორმირებაში, მეჩაიეობა (რომელსაც აღდგენის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია), მეფუტკრეობა (2,800 ფუტკრის ოჯახი, 2023), რომელიც უზრუნველყოფს როგორც თაფლის წარმოებას, ისე კულტურული მცენარეების დამტვერვას, და თამბაქოს წარმოება (რომელიც ისტორიულად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დღეს მცირე მასშტაბით არის წარმოდგენილი). მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცხოველეობა და მისი პროდუქტების წარმოება. მეცხოველეობა განსაკუთრებით განვითარებული მაღალმთიან აჭარაში. ალპური და სუბალპური საძოვრების არსებობა ხელს უწყობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას. ადგილობრივი სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს საოჯახო მეურნეობებში რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, ასევე ხორცპროდუქტების წარმოება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს

ხელს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ისე რეგიონის ტურისტული სექტორის მომსახურებას.

სამოყვარულო მეურნეობები მოიცავს საკარმიდამო ბოსტნეულ კულტურებს, მცირე მეცხოველეობას, შინამეურნეობების ბაღებსა და მცირე სათბურებს საოჯახო მოხმარებისთვის. ინოვაციური მიმართულებებიდან აღსანიშნავია თანამედროვე სასათბურე მეურნეობები, კივის პლანტაციები, ჰიდროპონიკური მეზოსტნეობა, ბიომეურნეობები და სხვა ახალი, სელექციური ჯიშების დანერგვის მცდელობა.

**დიაგრამა N1. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მიწათსარგებლობის მიხედვით აჭარა (ჰა), 2014**



**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ბოლო აღწერის მიხედვით (2014), აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შეადგენს 19,700 ჰა, საიდანაც სახნავი მიწებია 6,054 ჰა, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულია 9,011 ჰა, სათბურებია 12 ჰა და საძოვრებია 4,653 ჰა. რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროფილში დომინირებს ციტრუსის წარ-

მოება – 2023 წელს წარმოებულმა 59.2 ათასმა ტონამ ქვეყნის წარმოების 82.6% შეადგინა. მნიშვნელოვანია ასევე ხილის (14.0 ათასი ტონა), თხილის (3.3 ათასი ტონა) და ყურძნის (2.2 ათასი ტონა) წარმოება.

მეცხოველეობის მიმართულებით შეინიშნება გარკვეული პრობლემები – 2023 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 41.7 ათასი შეადგინა, რაც 14.0%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ამავე დროს, დადებით ტენდენციას ავლენს მეფუტკრეობა – ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 12%-ით გაიზარდა და 22.4 ათას სკას მიაღწია.

ანალიზმა აჩვენა, რომ რეგიონის ექსპორტის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია ციტრუსს, თხილს, ჩაის და თაფლს, ხოლო იმპორტზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა ძირითად სასურსათო პროდუქტებზე: ხორბალზე, ხორცპროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე და სეზონურ ბოსტნეულზე. დადებითი ტენდენცია ფიქსირდება კარტოფილზე, ბოლო პერიოდში გაზრდილია მოსავლიანობა და შემცირებულია იმპორტი, თუმცა აქაც არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. კერძოდ, მეურნეობების მკვეთრ ფრაგმენტაციასთან ერთად (საშუალოდ 0.2-0.4 ჰა), მოძველებული ტექნოლოგიები, ხარისხიანი სათესლე მასალის დეფიციტი და შესანახი ინფრასტრუქტურის არარსებობა, რაც იწვევს მოსავლის მნიშვნელოვან დანაკარგებს (40%-მდე) და ამცირებს დარგის კონკურენტუნარიანობას.

აჭარის ა/რ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ანგარიშის თანახმად, რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ 323.6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც მემცენარეობაზე მოდის 189.4 მლნ ლარი, ხოლო მეცხოველეობაზე - 134.2 მლნ ლარი. დინამიკაში თვალსაჩინოა მემცენარეობის სექტორის, განსაკუთრებით კი ციტრუსოვანი და კენკროვანი კულტურების წარმოების ზრდის ტენდენცია, რაც

განპირობებულია როგორც სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებით, ასევე საექსპორტო ბაზრების გაფართოებით.

რეგიონის საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუბტროპიკული ზონის არსებობა, რაც უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის გარკვეული კულტურების წარმოებისთვის. საქსტატის 2023 წლის მონაცემებით, აჭარაში იწარმოება საქართველოში წარმოებული ციტრუსის 80%-ზე მეტი. კერძოდ, 2022 წელს რეგიონში წარმოებული იქნა 48.5 ათასი ტონა მანდარინი, რაც წინა წელთან შედარებით 12%-იანი ზრდაა. 2016-2024 წლებში ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით აჭარაში განხორციელდა - 87 ათას ტონამდე სამრეწველო ტიპის მანდარინის სუბსიდირება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 11 მლნ ლარამდე. 2024 წელს ციტრუსის მაღალი საექსპორტო მაჩვენებელი დაფიქსირდა, კერძოდ, რეალიზებული იქნა 41 061 ტონა ციტრუსი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 26 მლნ 112 ათასი აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 32.5%-ით მეტია.

საქართველოს ციტრუსის სექტორის ანალიზი აჩვენებს მნიშვნელოვან ტენდენციებს და თავისებურებებს. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, სექტორში არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. პირველ რიგში, საჭიროა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციასთან ერთად პროდუქციის დივერსიფიკაციაც - ფორთოხლისა და ლიმონის წარმოების გაზრდა, რაც შეამცირებს დამოკიდებულებას ერთ კულტურაზე.

აჭარის ა/რ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, აჭარაში კენკროვნებისა და ხეხილის ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი შეადგენს 8.1 ათას ჰა-ს, ხოლო წარმოება შეადგენს 14,000 ტონას. ბოლო წლებში ინტენსიურად ვითარდება კენკროვანი კულტურების, კერძოდ ლურჯი მოცვისა და ჟოლოს წარმოება. 2023 წელს წარმოებული იქნა 700 ტ კენკრა. ამ ნაწილშიც


აჭარის ა/რ-ს სოფლის მეურნეობას, აგროსერვისცენტრთან და სოფლის განვითარების სააგენტოსთან ერთად აქვს სხვადასხვა ხელშეწყობი პროგრამები ფერმერებისთვის, რომლის ფარგლებშიც, თანადაფინანსებით გაშენდა და კეთილმოეწყო კენკროვანი კულტურები.

აჭარის მთიანი რელიეფი და ტყის საფარი წარმოადგენს უნიკალურ ეკოსისტემას, სადაც ბუნებრივად გავრცელებულია ველური კენკროვანი და ხეხილოვანი კულტურები. კერძოდ, ველური კენკრის (მოცვი, მაყვალი, ასკილი) საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 2,000 ჰექტარს, საიდანაც პოტენციური მოსავლიანობა წელიწადში 150-200 ტონას აღწევს.

რაც შეეხება მევენახეობას - აჭარაში ვენახის ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი შეადგენს 300 ჰა-ს, საიდანაც ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი გაშენებულია 160 ჰა-ზე. 2023 წლის მონაცემებით 2,200 ტონა ყურძენი იწარმოება, მათ შორის ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშის 1,000 ტონამდე ყურძენი. რეგიონში ფუნქციონირებს ყურძნის გადამამუშავებელი 2 მსხვილი საწარმო, რომელიც ჯამში გადაამუშავებს 170 ტ ადგილობრივ ყურძენს, ძირითადად ღვინის სახით.

2024 წელს აჭარაში თხილის ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი შეადგენს 4.8 ათას ჰა-ს, ხოლო წარმოება შეადგენს 6,000 ტონას.

**დიაგრამა N2. თხილის ექსპორტი საქართველოში (ათსი აშშ დოლარი)**



თხილის წარმოებაში მოსავლიანობის დაბალი დონე (1 ჰა-ზე 1.3 ტონა) მიუთითებს პროდუქტიულობის გაზრდის მნიშვნელოვან პოტენციალზე. ამ მიმართულებით აუცილებელია თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა და მავნებლებთან ბრძოლის ეფექტიანი სისტემების განვითარება.

დღეის მდგომარეობით რეგიონში ირიცხება 61,300 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 148 ათასი ფრთა ყველა სახის ფრინველი. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება აჭარაში: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი - 1,300 ტონა, ფრინველის ხორცი - 300 ტონა, რძე - 29 მლნ ლიტრი, კვერცხი - 3.7 მლნ ცალი.

აჭარაში 2023 წლის მონაცემებით აღრიცხულია 22,400 ფუტკრის ოჯახი და იწარმოება 300 ტონა თაფლი. დღეის მონაცემებით რეგიონში ფუნქციონირებს 32 საკალმახე მეურნეობა, სადაც წარმოებულია წლიურად 195 ტონა ცისარტყელა კალმახი.

მეცხოველეობას, მეფუტკრეობას და აკვაკულტურას აქვს განვითარებისა და წარმოების მასშტაბების გაზრდის პოტენციალი. სექტორის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია: გადამამუშავებელი საწარმოების ქსელის განვითარება, განსაკუთრებით რძის პროდუქტების მიმართულებით; ვეტერინარული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; საკვები ბაზის გაძლიერება და საძოვრების მართვის სისტემების დანერგვა; კოოპერაციის განვითარება რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის; სასელექციო-სანაშენე საქმიანობის გაძლიერება პროდუქტიული ჯიშების გასავრცელებლად.

FAO-ს 2023 წლის პროგნოზის მიხედვით, აჭარის რეგიონში 2025-2030 წლებში მოსალოდნელია ორგანული წარმოების 15-20%-იანი წლიური ზრდა. ამასთან, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების

(DCFTA) ფარგლებში, იზრდება რეგიონის პროდუქციის ევროპულ ბაზრებზე შეღწევის პოტენციალი.

აჭარის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სექტორის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ მისი ძირითადი მახასიათებლები, პოტენციალი და გამოწვევები. ქვემოთ წარმოდგენილი SWOT ანალიზი აჯამებს რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების ძლიერ და სუსტ მხარეებს. ასევე, იმ შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, რომლებიც გავლენას ახდენს სექტორის მდგრადობასა და განვითარებაზე (იხ.ცხრილი N5).

**ცხრილი N5. აჭარის რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების Swot ანალიზი**

ძლიერი მხარეები (Strengths):	სუსტი მხარეები (Weaknesses):
<ul style="list-style-type: none"> <li>• უნიკალური სუბტროპიკული ზონა ციტრუსოვანთა წარმოებისთვის</li> <li>• წარმატებული მეფუტკრეობის სექტორი ექსპორტის პოტენციალით</li> <li>• მზარდი ტურისტული სექტორი, რაც ზრდის სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნას</li> <li>• მზარდი ორგანული წარმოება და ბიომეურნეობები</li> <li>• ინოვაციური პროექტების დაწერვის პოზიტიური გამოცდილება</li> <li>• საინვესტიციოდ მიმზიდველი გარემო</li> <li>• სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია</li> <li>• მაღალი დამოკიდებულება იმპორტზე ძირითად სასურსათო პროდუქტებში</li> <li>• მეცხოველეობის დარგის არასაკმარისი განვითარება</li> <li>• მოძველებული სარწყავი სისტემები</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო გზების არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა</li> <li>• მცირემიწიანობის პრობლემა, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში</li> </ul>

**შესაძლებლობები  
(Opportunities):**

- ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გაზრდილი პოტენციალი;
  - ორგანული წარმოების ზრდის მაღალი პოტენციალი;
  - აგროლოგისტიკური ცენტრის განვითარების პერსპექტივა;
  - ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები;
  - კოოპერატიული მოძრაობის განვითარების პერსპექტივა;
- საერთაშორისო დონორების მზარდი ინტერესი რეგიონის მიმართ

**საფრთხეები (Threads):**

- კლიმატის ცვლილების ნეგატიური გავლენა;
- საერთაშორისო ბაზრებზე ფასების მერყეობა;
- სტიქიური მოვლენების გახშირებული რისკები;
- საძოვრების დეგრადაციის საფრთხე გადამოვების გამო;
- მაღალი კონკურენცია იმპორტირებული პროდუქციისგან;
- კვალიფიციური კადრების ნაკლებობა აგრარულ სექტორში;
- რეგიონული კონფლიქტებისა და საომარი მდგომარეობის რისკები;
- სატრანსპორტო დერეფნების შეფერხების რისკი;
- სასურსათო ფასების მკვეთრი ზრდის საფრთხე კრიზისულ პერიოდებში;
- საერთაშორისო ინვესტიციების შემცირების რისკი არასტაბილურობის გამო.

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

SWOT ანალიზში გამოვლენილი საკითხების უფრო დეტალურად განხილვა გვიჩვენებს, რომ რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აჭარის ა/რ-ს სასურსათო უსაფრთხოებაზე. შავი ზღვის რეგიონში არსებული



დაძაბულობა და სამხედრო კონფლიქტები პირდაპირ აისახება სასურსათო პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის მოცულობაზე. აჭარის ა/რ-ს პორტების სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნებისმიერი საზღვაო ბლოკადა ან შეფერხება სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონის სასურსათო ხელმისაწვდომობას. 2023 წლის მონაცემებით, აჭარის ა/რ-ს გავლით ხორციელდება საქართველოს მარცვლეულის იმპორტის 65%. შესაბამისად, სატრანსპორტო დერეფნების შეფერხება პირდაპირ აისახება ძირითადი სასურსათო პროდუქტების მიწოდებასა და ფასებზე.

კლიმატის ცვლილება აჭარის რეგიონში იწვევს უფრო ხშირ და ინტენსიურ ბუნებრივ რისკებს, მათ შორის წყალდიდობებს, მეწყერებს და გვალვებს. ეს მოვლენები აზიანებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და ინფრასტრუქტურას, რაც იწვევს მოსავლის კარგვას და აფერხებს პროდუქციის მოყვანას. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC, 2015) შეფასებით, 2050 წლისთვის აჭარაში ნალექების რაოდენობამ შეიძლება მოიმატოს 20%-ით, ხოლო საშუალო ტემპერატურამ 2-3°C-ით. ეს ცვლილებები ხაზს უსვამს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის საჭიროებას.

კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან ერთად, რეგიონი დგას მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული საჭიროებების წინაშე. პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა სარწყავი სისტემების მოდერნიზაცია, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების განვითარება და ლოგისტიკური ცენტრების შექმნა. ეს საკითხები განსაკუთრებით მწვავედ დგას მთიან რეგიონებში, სადაც ინფრასტრუქტურის ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ტექნოლოგიური განვითარების კუთხით, რეგიონი საჭიროებს მექანიზაციის დონის მკვეთრ ამაღლებას (ამჟამად მხოლოდ 25%),

თანამედროვე სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვას და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტ-მოსავლის მართვის სისტემების განვითარება, რაც შეამცირებს დანაკარგებს და გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

სასოფლო-სამეურნეო მიწების დანაწევრება ხელს უშლის ეფექტიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას აჭარის რეგიონში. საშუალო ფერმის ზომა შეადგენს მხოლოდ 0.7 ჰექტარს, ხოლო ფერმების 98.4% ფლობს 1.25 ჰექტარზე ნაკლებს. მიწის ფრაგმენტაცია ართულებს მექანიზაციის გამოყენებას და ამცირებს კონკურენტუნარიანობას. ამავდროულად, შეუფერებელი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, როგორიცაა ინტენსიური მოვება და არასათანადო დატვირთვა, იწვევს ნიადაგის ეროზიას და ნაყოფიერების დაქვეითებას.

აჭარის რეგიონში, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, ხელს უშლის სასურსათო უსაფრთხოებას. არსებული სასაწყობო ობიექტები არასაკმარისი და მოძველებულია, რაც იწვევს პოსტ-საწარმოო დანაკარგებს. სოფლებში ჯერ კიდევ სრულად გაუმართავი გზები, შეზღუდული სატრანსპორტო საშუალებები და ბაზრის დაშორება ფერმერებს უკარგავს წარმოების სტიმულს. ახალი ტექნოლოგიების, როგორიცაა ირიგაციის სისტემები, სასათბურე ინფრასტრუქტურა და გადამამუშავებელი დანადგარები ასევე, მწირია. ცხადია, ეს ხარვეზები გავლენას ახდენს სასურსათო სექტორის მდგრადობაზე.

სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო სერვისების მიწოდება აჭარის რეგიონში ხასიათდება ინსტიტუციური შესაძლებლობების ნაკლებობით. რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე სასოფლო-სამეურნეო სამსახურები განიცდიან სპეციალისტების და ფინანსური რესურსების ნაკლებობას, რაც ზღუდავს მათ უნარს გაუწიონ ტექნიკური დახმარება და ექსტენციის მომსახურება ფერმერებს.

ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სერვისების სიმწირე ასევე, აჩენს რისკებს ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისთვის. საჭიროა ინსტიტუტების გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლიდან დაწერა მობილური საკონსულტაციო სერვისები მთიან რეგიონებში, რამაც ფერმერების მომსახურების ხელმისაწვდომობა 60%-ით გააუმჯობესა. მსგავსი მოდელის ადაპტირება აჭარის ა/რ-ს პირობებში შეიძლება იყოს ეფექტური გადაწყვეტა საკონსულტაციო სერვისების გასაუმჯობესებლად.

ინტენსიური მეურნეობის განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. მცირე ფართობების პირობებში განსაკუთრებით პერსპექტიულია მაღალშემოსავლიანი კულტურების წარმოება, რაც იძლევა შეზღუდული მიწის რესურსიდან მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღების საშუალებას. სასათბურე მეურნეობების განვითარება კი უზრუნველყოფს წარმოების სეზონურობის დაძლევას და მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას. განსაკუთრებით საინტერესოა ვერტიკალური მეზაღეობის დაწერვის პერსპექტივა, რაც საშუალებას იძლევა მცირე ფართობზე შეიქმნას მრავალღირსიანი წარმოება.

სპეციალიზაცია და ნიშური პროდუქციის განვითარება წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან მიმართულებას. აჭარული თაფლის წარმოების გაფართოება განსაკუთრებით პერსპექტიულია, რადგან პროდუქტს უკვე აქვს გარკვეული ცნობადობა და საექსპორტო პოტენციალი. ადგილობრივი ჯიშების განვითარება კი უზრუნველყოფს უნიკალური პროდუქციის შექმნას, რომელიც უკეთ არის მორგებული ადგილობრივ პირობებს. ბიო პროდუქციის წარმოებას განსაკუთრებული პოტენციალი აქვს მთიან რეგიონებში, სადაც ბუნებრივად არის შენარჩუნებული ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

ტექნოლოგიური გადაწყვეტების დანერგვა წარმოადგენს მესამე მნიშვნელოვან მიმართულებას. მცირე მექანიზაცია, როგორიცაა მოტობლოკები და მინი-ტრაქტორები, იდეალურად ერგება მთიანი რეგიონის სპეციფიკას. წვეთოვანი მორწყვის სისტემები განსაკუთრებით ეფექტიანია წყლის რესურსების დაზოგვისა და მოსავლიანობის გაზრდის თვალსაზრისით. სმარტ სოფლის მეურნეობის ელემენტების დანერგვა კი საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ წარმოების პროცესების მართვა და მონიტორინგი.

ამ ალტერნატიული გადაწყვეტების წარმატებით დანერგვისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს როგორც ეტაპობრივ განვითარებას, ისე ადაპტირებული მოდელების შემუშავებას და მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპილოტე პროექტების განხორციელება და წარმატებული მაგალითების შექმნა, რაც დაეხმარება ფერმერებს უკეთ გაიაზრონ ახალი მიდგომების უპირატესობები.

სასოფლო-სამეურნეო და ტურისტული სექტორების ინტეგრაცია წარმოადგენს განვითარების მნიშვნელოვან პერსპექტივას აჭარის რეგიონისთვის. აგროტურიზმის, გასტრონომიული ტურიზმისა და ფერმერული ბაზრების განვითარება ქმნის ორმხრივ სარგებელს: ფერმერებისთვის უზრუნველყოფს პროდუქციის რეალიზაციის დამატებით არხებს, ხოლო ტურისტულ სექტორს აძლევს ადგილობრივი, უნიკალური და ნატურალური პროდუქტების შეთავაზების შესაძლებლობას. ამგვარი სინერგია ზრდის როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადობას, ისე ტურისტული პროდუქტის მიმზიდველობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური დივერსიფიკაციისთვის.

რეგიონის სასურსათო ბაზარზე, ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. აჭარის ა/რ-ს ტურიზმის დეპარტამენტის სტატისტიკით, 2023 წელს რეგიონს 2.1 მილიონზე მეტი

ვიზიტორი ეწვია, რაც წინა წელთან შედარებით 25%-იანი ზრდაა. ტურისტული სეზონის პიკზე სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა საშუალოდ 2.5-3-ჯერ იზრდება, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი მწარმოებლებისთვის.

ქართული პროდუქციის პოპულარიზაციაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკოტურიზმი, ღვინის ტურიზმი და გასტრონომიული ტურები. ტურისტების გაზრდილი ინტერესი ადგილობრივი, ნატურალური საკვების მიმართ ქმნის ხელსაყრელ პირობებს ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის. თუმცა, ამ შესაძლებლობის სრულად გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ ქართველი ფერმერები და მწარმოებლები მზად იყვნენ მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხის თვალსაზრისით. ეს განაპირობებს წარმოების ხელშეწყობის მნიშვნელობას, რომელიც თავის მხრივ, ფერმერებისთვის დამატებით სტიმულს წარმოადგენს, როდესაც იქმნება გასაღების რეალურ ბაზარი და შესაძლებლობები. აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური როლი ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციაში. სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მარკეტინგულ აქტივობებს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს საექსპორტო ინტერესი ადგილობრივი პროდუქციის მიმართ. აქვე აღსანიშნავია, რომ კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა არ არის მხოლოდ ცალკეული კომპანიების მიღწევა, არამედ წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის, ინსტიტუციური რეფორმებისა და ბიზნესის ძალისხმევის ერთობლივ შედეგს.

სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სოფლის მეურნეობასთან სინერგიული ეფექტის მქონე სხვა დარგებსაც:

1. მსუბუქი მრეწველობა - განსაკუთრებით ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოება, სადაც შესაძლებელია ადგილობრივი ნედლე-

ულის (მაგ., მატყლი, ზამბა) გამოყენება. ეს ქმნის ვერტიკალური ინტეგრაციის შესაძლებლობებს და ამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას.

2. ენერგეტიკა და განახლებადი ენერგიის წყაროები - ბიომასის, ბიოგაზისა და მზის ენერგიის პროექტები სოფლის მეურნეობის ნარჩენების გამოყენებით, რაც ფერმერებს აძლევს დამატებითი შემოსავლის წყაროს და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას.

3. ლოგისტიკა და ტრანსპორტი - სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირების სერვისები, რაც ამცირებს დანაკარგებს და აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

4. განათლება და ტრენინგი - სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადება, ექსტენციის (ცოდნის გადცემის) სერვისები და მეწარმეობის ხელშეწყობა, რაც ზრდის დარგის მდგრადობასა და ინოვაციურობას.

5. ჯანდაცვა და ველნესი - სამკურნალო მცენარეების წარმოება, ორგანული კოსმეტიკისა და ჯანმრთელობის პროდუქტები, აგრეთვე სამედიცინო ტურიზმის შეთანწყობა აგროტურიზმთან.

6. ინფორმაციული ტექნოლოგიები - აგროტექის (AgriTech) გადაწყვეტილებები, რომლებიც აუმჯობესებს წარმოების ეფექტურობას და ხარისხს; ციფრული პლატფორმები, რომლებიც აკავშირებს ფერმერებს პირდაპირ მომხმარებლებთან, მოქმედებს, როგორც ელექტრონული ფერმერული ბაზრები.

ამ დარგების ინტეგრაცია სოფლის მეურნეობასთან შექმნის სინერგიულ ეფექტს, გააძლიერებს რეგიონის ეკონომიკას და ხელს შეუწყობს, როგორც სასურსათო უსაფრთხოებას, ისე მდგრად განვითარებას.

განსაკუთრებით პერსპექტიულ ინოვაციურ მიმართულებად მიგვაჩნია პრეციზიული მიწათმოქმედება, ჭკვიანი სათბურები,

ვერტიკალური მეურნეობები და აკვაპონიკა. ტრადიციული დარგების მოდერნიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია მევენახეობაში ახალი ჯიშების დანერგვა, მეცხოველეობაში გენეტიკურად გაუმჯობესებული ჯიშების შემოყვანა და კვების რაციონის ოპტიმიზაცია ასევე, სარწყავი სისტემების განახლება.

სოფლის მეურნეობას აჭარის მაღალმთიანეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სადაც ტრადიციული დარგები - მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და მიწათმოქმედება, თანამედროვე ტექნოლოგიებთან ინტეგრირდება. კვლევები აჩვენებს, რომ ინოვაციური მიდგომები, როგორიცაა მექანიზებული საწველი დანადგარები, თანამედროვე სკები, კლიმატგონივრული სარწყავი სისტემები და მზის ენერგიაზე მომუშავე სათბურები, მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქტიულობას და რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონსულტაციო ცენტრების ქსელის განვითარება და აგროტურიზმის როლი, რამაც ტრადიციული მეურნეობების ტურისტულ კომპლექსებად ტრანსფორმაციას შეუწყო ხელი. ტრადიციული და ინოვაციური მიდგომების ოპტიმალური შეთანწყობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას და სასურსათო უსაფრთხოებას, არამედ ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და რეგიონის გრძელვადიან მდგრადობას.

აჭარის რეგიონში ინოვაციებისა და ტრადიციული პრაქტიკების ინტეგრაციის პოზიტიური შედეგების პარალელურად, აუცილებელია სისტემური ხედვა კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რომელიც განვითარდება ეროვნულ სტრატეგიებთან თანხვედრაში განვითარდება.

კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას საქართველოს

ეკონომიკური განვითარების გზაზე. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი რეგიონული განვითარების კონტექსტში, სადაც ადგილობრივი წარმოების გაძლიერება პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან. მათ შორის, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

კვლევებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარების, წარმოებისა და იმპორტის სტატისტიკური ანალიზი 2023-2030 წლებისთვის. კვლევა აჩვენებს მნიშვნელოვან დეფიციტს ძირითად პროდუქტებში (იხ. ცხრილი N6), განსაკუთრებით ხორბალში (საჭიროა წარმოების 250.5%-ით ზრდა), ბოსტნეულში (185.1%-ით ზრდა) და ხორცპროდუქტებში (247.2%-ით ზრდა). დეფიციტის დასაძლევად აუცილებელია მასშტაბური კვლევები, ინვესტიციები, სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გაძლიერება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ფერმერების პროფესიული გადამზადება. ჩვენს კვლევაში 2030 წლის დემოგრაფიული პროგნოზირებისთვის გამოვიყენეთ წრფივი რეგრესიის მოდელი, სადაც გათვალისწინებულია 2019-2023 წლების დემოგრაფიული ტენდენციები. მოდელმა აჩვენა, რომ 2030 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა სავარაუდოდ იქნება 3.68 მილიონი ადამიანი. ამ პროგნოზის საფუძველზე გამოვთვალეთ ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი სასურსათო პროდუქტების საჭირო რაოდენობა და შევადარეთ ის არსებულ წარმოებასა და იმპორტს, რის შედეგადაც გამოვავლინეთ პოტენციური დეფიციტი და განვსაზღვრეთ საჭირო ზრდის ტემპები.



**ცხრილი N6. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების  
მოხმარება, წარმოება და იმპორტი საქართველოში 2023-2030 წლებში**

პროდუქტი	ფიზ. ნორმა 1 სულზე	2023 მოხმარება 1 სულზე	2030 სავარაუდო მოსახლეობა	2030 პროდ. საჭირო მოცულობა	2023 წარმოება	2023 იმპორტი	დეფიციტი 2030-ში	საჭირო ზრდა (%)
ხორბალი	140 კგ	114 კგ	3.68 მლნ	515.2 ათ.ტ	147 ათ.ტ	535 ათ.ტ	166.8 ათ.ტ	250. 5%
კარტოფი ლი	66 კგ	50 კგ	3.68 მლნ	242.9 ათ.ტ	197 ათ.ტ	35 ათ.ტ	10.9 ათ. ტ	23.3 %
ბოსტნეუ ლი	110 კგ	58 კგ	3.68 მლნ	404.9 ათ.ტ	142 ათ.ტ	142 ათ.ტ	120.8 ათ.ტ	185. 1%
ხორცი სულ	70 კგ	34 კგ	3.68 მლნ	257.6 ათ.ტ	74.2 ათ.ტ	109.3 ათ.ტ	74.1 ათ.ტ	247. 2%
რძე	293 ლ	204 ლ	3.68 მლნ	1078.2 ათ.ტ	584 ათ.ტ	197 ათ.ტ	297.2 ათ.ტ	84.6 %
კვერცხი	210 ც	176 ც	3.68 მლნ	772.8მ ლნ.ც	653 მლნც	62 მლნც	57.8 მლნ.ც	18.3 %

**წყარო:** ცხრილი შედგენილი და გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ინფორმაციის (ნორმები, წარმოება, იმპორტი) მიხედვით.

დეფიციტების დასაძლევად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც ჩვენი შეფასებით, მოიცავს ხუთ ძირითად მიმართულებას.

1. მასშტაბური კვლევები (სად რისი მოყვანა შეგვიძლია) და საპილოტე პროექტები;
2. ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში;
3. სახელმწიფო მხარდამჭერი პოლიტიკა;
4. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
5. ფერმერების პროფესიული გადამზადება და მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევა გათვალისწინებულია „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027“-ში, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რეგიონულ სპეციფიკას. აჭარის რეგიონში პრიორიტეტებად განისაზღვრა ინსტიტუციური განვითარება, საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება (განსაკუთრებით ციტრუსის, ღვინის, ჩაისა და თაფლის მიმართულებით), ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ტურიზმთან სინერგიის გაღრმავება. რეგიონში არსებული წარმატებული მაგალითები - ქობულეთის ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმო, ხულოს აგროტურისტული მარშრუტი, მაჭახელას ხეობის საოჯახო მარნები, შუახევის თაფლის მწარმოებელთა კლასტერი და ქობულეთის კივის პლანტაციები - დემონსტრირებას უკეთებს მდგრადი განვითარების პერსპექტივებს.

თუმცა, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები სცილდება წარმოების მოცულობის საკითხს და მოიცავს სტრუქტურულ პრობლემებს კერძოდ, სოფლის მეურნეობის ფრაგმენტაცია, წარმოების არაოპტიმალური პროფილი, ინფრასტრუქტურული ჩამორჩენა და რეგიონებს შორის განვითარების დისბალანსი. კლიმატის ცვლილება წარმოადგენს დამატებით რისკფაქტორს, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ ადაპტაციურ სტრატეგიებს.

2020-2023 წლებში განხორციელებული რეფორმები მიზნად ისახავდა ამ გამოწვევების დაძლევას. „სურსათის უვნებლობის შესახებ“ კანონის ახალი რედაქცია ევროკავშირის რეგულაციებთან

ჰარმონიზაციას უზრუნველყოფს და მოიცავს HACCP-ის პრინციპების დანერგვას, რისკზე დაფუძნებული საკონტროლო სისტემების შემოღებასა და პროდუქციის მიკვლევადობის გაუმჯობესებას. ინსტიტუციური რეფორმების ფარგლებში გაძლიერდა სურსათის ეროვნული სააგენტო, გაფართოვდა ლაბორატორიული შესაძლებლობები და დაინერგა რისკების შეფასების თანამედროვე სისტემები.

სექტორული ანალიზი აჩვენებს განსაკუთრებულ წარმატებას მეღვინეობაში, სადაც ექსპორტი 92 მლნ ბოთლიდან 125 მლნ ბოთლამდე გაიზარდა, ხოლო საექსპორტო ბაზრების რაოდენობა 45-დან 62 ქვეყანამდე გაფართოვდა. რძის პროდუქტების სექტორში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა 150-დან 185-მდე გაიზარდა, თუმცა HACCP-ის სრულად დანერგვის მაჩვენებელი მხოლოდ 45%-ს აღწევს. ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება - კვების მრეწველობის საწარმოების 55% იყენებს წარმოების მართვის თანამედროვე სისტემებს, რაც შესამჩნევად მეტია 2020 წლის მონაცემებთან (25%-თან) შედარებით.

სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებმა, როგორცაა „წარმოე საქართველოში“, მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა. 2020-2023 წლებში დაფინანსდა 127 საწარმო, რომლებმაც ჯამში 185 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელეს და 2,850-ზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნეს, ხოლო ბენეფიციარი კომპანიების ექსპორტი 34%-ით გაიზარდა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში დაინერგა სურსათის უვნებლობის 15 ახალი ტექნიკური რეგლამენტი, რამაც ხელი შეუწყო ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტიორი ქართული კომპანიების 45%-ით გაზრდას.

რეგიონული განვითარების მხრივ გამოირჩევა კახეთი და იმერეთი, სადაც 55%-ით გაიზარდა ექსპორტი და 40%-ით - ადგილობრივი წარმოება. მნიშვნელოვანია ასევე კლასტერული მიდგომის

დანერგვა, რომელიც ხელს უწყობს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

თუმცა, კვლავაც არსებობს გამოწვევები: პროგრამებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა, მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებების არასათანადო გათვალისწინება და რეგიონული განვითარების არათანაბარი დონე. ანალიზმა აჩვენა, რომ საჯარო უწყებების (Enterprise Georgia, GITA, სურსათის ეროვნული სააგენტო) კოორდინირებული მუშაობა 45%-ით უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე იზოლირებული ინიციატივები.

აჭარის რეგიონში სახელმწიფო პროგრამები, კერძოდ: „აწარმოე საქართველოში“, „იაფი აგროკრედიტი“, „დანერგე მომავალი“ და „სოფლად მეწარმეობის განვითარების პროგრამა“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი კვების ინდუსტრიის განვითარებაში. 2020-2023 წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ჩართულობა საექსპორტო სტრატეგიებსა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შედეგიანია, თუმცა მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია სისტემური და თანმიმდევრული მიდგომის გაგრძელება.

## დასკვნები და რეკომენდაციები

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების საკითხი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. COVID-19 პანდემიამ, გეოპოლიტიკურმა კრიზისებმა და კლიმატის ცვლილებამ ნათლად წარმოაჩინა გლობალური სასურსათო სისტემების მოწყვლადობა და ლოკალური წარმოების გაძლიერების აუცილებლობა. FAO-ს მონაცემებით, მსოფლიოში სასურსათო არაუსაფრთხოების პრობლემა ეხება 2.3 მილიარდ ადამიანს, რაც მსოფლიო მოსახლეობის 29.3%-ს შეადგენს.

საქართველოსთვის სასურსათო უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი აგრარული პოტენციალი, სასურსათო პროდუქტების იმპორტზე დამოკიდებულება კვლავ მაღალია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოს სასურსათო პროდუქტების იმპორტმა 1.8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 15%-ით მეტია. განსაკუთრებით საყურადღებოა, ის რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისეთი ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტზე, როგორიცაა ხორბალი, ხორცპროდუქტები, ბოსტნეული, მცენარეული ზეთი და შაქარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობითა და კლიმატური პირობებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან რეგიონს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სისტემაში. რეგიონის გავლით ხორციელდება ქვეყნის სასურსათო იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამავდროულად, აქ არსებობს აგრარული წარმოების მნიშვნელოვანი, მაგრამ ჯერ კიდევ აუთვისებელი პოტენციალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია

სუბტროპიკული კულტურების წარმოების შესაძლებლობები, მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები მაღალმთიან რეგიონებში და ორგანული წარმოების პოტენციალი.

ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ ანალიზს, საშუალება მოგვცა გამოგვეკვეთა რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები და შეგვემუშავებინა პრაქტიკული რეკომენდაციები აჭარის რეგიონში სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

## დასკვნები

1. სასურსათო უსაფრთხოების გლობალური კონტექსტის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველო, და კერძოდ აჭარის რეგიონი, დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. FAO-ს მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 32.4% განიცდის ზომიერ ან მძიმე სასურსათო უსაფრთხოების დაქვეითებას, რაც მიუთითებს პრობლემის სისტემურ ხასიათზე. რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით, როცა მეზობელ ქვეყნებს (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი) გლობალურ სასურსათო უსაფრთხოების ინდექსში საშუალო მაჩვენებლები აქვთ, საქართველოს პოზიცია მიუთითებს სტრუქტურული რეფორმების აუცილებლობაზე.

2. კვლევამ გამოავლინა აჭარის რეგიონის მნიშვნელოვანი დამოკიდებულება იმპორტირებულ სასურსათო პროდუქტებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ რეგიონის გავლით ხორციელდება საქართველოს მარცვლეულის იმპორტის 65%, რაც ქმნის დამატებით რისკებს სასურსათო უსაფრთხოებისთვის შავი ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური დამაბულობის გათვალისწინებით.

3. აჭარის რეგიონის აგრარული პოტენციალის ანალიზმა აჩვენა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება: ციტრუსის კულტურების წარმოების მნიშვნელოვანი, მაგრამ არასრულად ათვისებული პოტენციალი; მეფუტკრეობის დარგის პროგრესი (თაფლის დაბინძურების მაჩვენებელი შემცირდა 56%-დან 8%-მდე); მაღალმთიან რეგიონებში მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები; ბიო პროდუქციის წარმოების ზრდის შესაძლებლობები; მევენახეობის განვითარება; ნედლეულის გადამუშავება, შენახვა და სეზონური გამოთანაბრების შესაძლებლობები.

4. კვლევის პროცესში იდენტიფიცირებულ იქნა ფუნდამენტური პრობლემები: მიწის რესურსების სიმწირე და ფრაგმენტაცია; ნიადაგის სისტემური კვლევის არარსებობა; ციტრუსის ნერგების განახლების საჭიროება; ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის არასათანადო განვითარება და კვალიფიციური კადრების დეფიციტი.

5. სასურსათო პროდუქტებზე ფასების დინამიკის ანალიზი აჩვენებს სეზონურ რყევებს. ხილ-ბოსტნეულის ფასებში სეზონურობის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა - აგვისტოში ბოსტნეულზე ფასების ზრდა მხოლოდ 1.2%-ს შეადგენდა, მაშინ როცა დეკემბერში ეს მაჩვენებელი 5.3%-მდე გაიზარდა. ეს მიუთითებს შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობაზე.

6. დარგთა შეთანწყობის ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი დისბალანსი ტრადიციულ და ინოვაციურ მიმართულებებს შორის. მაღალმთიან რეგიონებში განსაკუთრებით პრობლემურია საძოვრების არამდგრადი გამოყენება არასათანადო ცოდნის გამო, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა (განსაკუთრებით ზამთარში), კვალიფიციური და შრომისუნარიანი სპეციალისტების ნაკლებობა,

პირუტყვის საკვების სიმცირე, მაღალი ფასი და ხელმიუწვდომლობა ფერმერებისთვის.

7. კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ანალიზმა აჩვენა პოზიტიური ტენდენციები მსხვილ საცალო ვაჭრობის ქსელებში. 2023 წლის მონაცემებით, წამყვანი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები მიუთითებს სექტორის სტაბილურ ზრდაზე, თუმცა მცირე და საშუალო საწარმოები კვლავ დგანან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე.

8. კვების ინდუსტრიის საბაზრო ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი დისბალანსი იმპორტსა და ადგილობრივ წარმოებას შორის. აჭარის რეგიონში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი ძირითადად სეზონურ ხასიათს ატარებს, რაც ართულებს სტაბილური საექსპორტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამავდროულად, დარგში დასაქმების მაჩვენებელი არასტაბილურია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სეზონურ ფაქტორებზე. ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივი პროდუქციის ფასები ხშირად აღემატება იმპორტირებული პროდუქციის ფასებს, რაც აფერხებს მათ კონკურენტუნარიანობას და ხელმისაწვდომობას მომხმარებლებისთვის.

9. კვლევამ აჩვენა, რომ სასურსათო უსაფრთხოების დონე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტის გეოგრაფიულ კონცენტრაციაზე. ძირითადი სასურსათო პროდუქტების, განსაკუთრებით ხორბლის, მაღალი იმპორტდამოკიდებულება (HHI 0.72) წარმოადგენს სისტემურ რისკს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის.

10. გამოვლინდა მჭიდრო კორელაცია ( $r = 0.72$ ) სეზონურობასა და ფასების მერყეობას შორის, რაც უკავშირდება არასათანადოდ განვითარებულ სასაწყობე-ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას და ადასტურებს ინფრასტრუქტურული განვითარების გადამწყვეტ მნიშვნელობას ფასების სტაბილურობისთვის.



11. კვლევამ დაადასტურა, რომ სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ერთდროულად მიმართული იქნება სტრუქტურული პრობლემების გადაჭრისკენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სექტორის კონსოლიდაციას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და წარმოების ოპტიმიზაციას ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების გათვალისწინებით.

### **რეკომენდაციები**

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. **აგრარული პოტენციალის კვლევა-განვითარება** - აუცილებელია ჩატარდეს აჭარის რეგიონის ნიადაგების სისტემური კვლევა, რომელიც მოიცავს ნიადაგის ტიპების დეტალურ კარტოგრაფირებას, აგროქიმიურ ანალიზს ყველა მუნიციპალიტეტში, კულტურების ზონირებას ნიადაგის ტიპების მიხედვით და კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასებას. ეს კვლევა უნდა გახდეს საფუძველი გრძელვადიანი აგრარული სტრატეგიის შემუშავებისთვის, დეტალური რუკების შექმნით FAO-ს მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომლებიც დაეხმარება ფერმერებს ოპტიმალური კულტურების შერჩევაში.

2. **ციტრუსის დარგის მოდერნიზაცია** - რეკომენდებულია ნერგების მასიური განახლების პროგრამის განხორციელება, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა, უნარჩენო წარმოების მოდელის განვითარება (მანდარინის კანის გადამუშავება, წვენების წარმოების ზრდა) და ექსპორტის დივერსიფიკაცია ახალი ბაზრების ათვისებით.

3. **მაღალმთიან რეგიონებში მეწარმეობის განვითარების კომპლექსური პროგრამა** - მაღალმთიან აჭარაში საჭიროა სამოვრების

მდგრადი მართვის სისტემის დანერგვა, მეცხოველეობის ინფრასტრუქტურის განვითარება, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობების მოწყობა, ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება და ახალგაზრდა ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამების გაძლიერება.

**4. ინოვაციური ტექნოლოგიების დაჩქარება** - რეკომენდებულია პრეციზიული მიწათმოქმედების პილოტური პროექტების განხორციელება, "ჭკვიანი სათბურების" მშენებლობის წახალისება, ვერტიკალური მეურნეობების განვითარება ურბანულ ზონებში და აკვაპონიკის სისტემების დანერგვა.

**5. განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაძლიერება** - აუცილებელია აგრარული განათლების მოდერნიზაცია, პრაქტიკული სწავლების გაძლიერება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პროგრამების განვითარება და ფერმერთა გადამზადების სისტემის შექმნა.

აჭარის ა/რ-ს სასურსათო პოტენციალის სრული რეალიზებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სისტემის გაძლიერებას. ამ მიმართულებით აუცილებელია კომპლექსური მიდგომის დანერგვა, რომელიც დაეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მობილური საკონსულტაციო ჯგუფების შექმნა, რომლებიც დაკომპლექტდება კვალიფიციური აგრონომებით, მცენარეთა დაცვისა და მეცხოველეობის სპეციალისტებით; მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია ფერმერთა განათლების ცენტრების ჩამოყალიბება პრაქტიკული სწავლებით; მესამე კომპონენტი გულისხმობს თანამედროვე ციფრული საინფორმაციო პლატფორმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ კონსულტაციებს და საინფორმაციო-საცნობარო ბაზას.

**6. სასურსათო უსაფრთხოების/უზრუნველყოფის რეგიონული სისტემის შექმნა** - რეკომენდებულია რეგიონული სასურსათო რეზერვების სისტემის ჩამოყალიბება, ალტერნატიული სავაჭრო

მარშრუტების განვითარება, ადგილობრივი წარმოების დივერსიფიკაცია და კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება.

**7. ბიო წარმოების განვითარების მხარდაჭერა** - აუცილებელია ბიო სერტიფიცირების პროცესის გამარტივება და თანადაფინანსება, ბიო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის განვითარება, ორგანული მეურნეობების ქსელის გაფართოება და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა.

**8. შენახვისა და გადამამუშავების თანამედროვე სისტემების განვითარება** - საჭიროა თანამედროვე სამაცივრე-სასაწყობე კომპლექსების შექმნა ULO (Ultra Low Oxygen) ტექნოლოგიით, რაც საშუალებას მოგვცემს შევინახოთ ადგილობრივი ხილი და ბოსტნეული 8-10 თვის განმავლობაში, შევამციროთ დამოკიდებულება იმპორტზე არასეზონურ პერიოდში და შევინარჩუნოთ პროდუქციის ხარისხი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გადამამუშავებელი საწარმოების ქსელის განვითარება და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვა.

**9. ექსპორტის პოტენციალის გაძლიერება** - რეკომენდებულია საერთაშორისო ხარისხის სტანდარტების დანერგვა (GlobalG.A.P., HACCP), პროდუქციის შეფუთვისა და მარკირების თანამედროვე სისტემების დანერგვა, საექსპორტო ლოგისტიკის ოპტიმიზაცია, ახალი საექსპორტო ბაზრების კვლევა და ათვისება, გადამამუშავებელი საწარმოების ტექნოლოგიური მოდერნიზაცია.

**10. სასურსათო რეზერვების სისტემის განვითარება** - COVID-19 პანდემიამ და გლობალურმა პროცესებმა აჩვენა სასურსათო რეზერვების სისტემის მნიშვნელობა. რეკომენდებულია რეგიონული სასურსათო რეზერვების სისტემის შექმნა ძირითადი სასურსათო პროდუქტების მარაგებით, თანამედროვე სასაწყობე ინფრასტრუქტურით და მარაგების მართვის ელექტრონული სისტემით. ასევე,

მნიშვნელოვანია კრიზისული სიტუაციების მართვის მექანიზმების შემუშავება ადრეული შეტყობინების სისტემის, მიწოდების ალტერნატიული არხების და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმების სახით.

**11. ლოჯისტიკური სისტემის განვითარება** - აუცილებელია აგროლოჯისტიკური ცენტრების ქსელის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემგროვებელი პუნქტების მოწყობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ცივი ჯაჭვის სისტემის განვითარება.

**12. იმპორტის გეოგრაფიული დივერსიფიკაციის გაუმჯობესება** - ეს წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ეროვნული უსაფრთხოების საკითხს. მნიშვნელოვანია ისეთი სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიებას და არსებული სავაჭრო ურთიერთობების დაბალანსებას გეოპოლიტიკური რისკების გათვალისწინებით.

რეკომენდაციების განხორციელება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, პრიორიტეტების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო ფერმერების ინტერესების დაცვას და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. წარმოდგენილი რეკომენდაციების იმპლემენტაცია მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფო სტრუქტურებს, კერძო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თემებს შორის.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში, მ.შ. აჭარის რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აუცილებელია შეიქმნას რეკომენდაციების იმპლემენტაციის მონიტორინგის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მიღწეული პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში განვახორციელოთ კორექტირება.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში, მათ შორის:

1. Manvelidze R., Meskhidze Z., (2023), Problems and Possibilities of Sustainable Food Farming Formation in the Post-Pandemic Period, Economics and Business, 2023, №2, Pp. 59-77.

2. Meskhidze Z.(2024), Some Issues of Food Security, Economics and Business, 2024, №4, pp. 36-52.

3. Manvelidze R., Meskhidze Z., (2025), Technological and Organizational Transformation Opportunities in Enhancing Competitiveness. Innovative economics and management, 2025, 12, N1.

**Batumi Shota Rustaveli State University**  
**Faculty of Economics and Business**  
**Department of Business Administration, Management and Marketing**



**Zanda Meskhidze**

**Strategies for Enhancing Food Security and Competitiveness of the  
Food Industry**

**(Based on the Example of the Autonomous Republic of Adjara)**

**Abstract of the dissertation submitted for the academic degree of  
Doctor of Business Administration**

**Batumi, 2025**

The dissertation was completed at the Batumi Shota Rustaveli State University, in the Department of Business Administration, Management, and Marketing.

**Scientific Supervisor:**

**Rezo Manvelidze**

Doctor of Economic Sciences,  
Professor at Batumi Shota Rustaveli  
State University

**Foreign Reviewer:**

**Lyudmyla Shymanovska-Dyanich**

Doctor of Economic Sciences,  
Professor at Poltava University of  
Economics and Trade

**Reviewers:**

**Eter Kharaishvili**

Doctor of Economic Sciences,  
Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University

**Asie Tsintsadze**

Candidate of Economic Sciences,  
Professor at Batumi Shota Rustaveli  
State University

**Paata Aroshidze**

Candidate of Economic Sciences,  
Associate Professor at Batumi Shota  
Rustaveli State University

The dissertation defense will be held on July 4, 2025, at 12:00 pm, at the meeting of the Dissertation Committee established by the Dissertation Council of the Faculty of Economics and Business at Batumi Shota Rustaveli State University.

Address: Batumi, 35 Ninoshvili St. / 32 Rustaveli St., Auditorium N423 The dissertation can be accessed at the Ilia Chavchavadze Library of Batumi Shota Rustaveli State University - [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)

**Secretary of the Dissertation Council: Leila Tsetskhladze**

Doctor of Business and Management,  
Associate Professor at Batumi Shota  
Rustaveli State University

## Introduction

**Topic Relevance.** In the 21st century, food security and the competitiveness of the food industry constitute fundamental challenges for the global economy. The salience of this issue is precipitated by contemporary crisis phenomena: supply chains disrupted by the pandemic, instability in food markets induced by geopolitical tensions, the ramifications of climate change on agricultural production, and heightened demand for food consequent to global population growth.

The scientific research significance of these issues is substantially amplified by the following challenges: escalating demand for food resultant from population growth; increasingly stringent food quality and safety standards; unpredictable fluctuations in food product prices in international markets; complexities in ensuring supply chain stability; the imperative of food waste management.

